პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 232 (18774) კვირა, 9 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

წლევანდელმა ჭირვეულმა ამინდებმა — ხშირმა სეტყვამ, კოკისპირულმა წვიმებმა, წყალდიდობამ განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ქართლ-კახეთის მევენახეებს. ყურძენი, რაც ბუნების ხტიჭეას გადაურჩა, ახლა ჩქარი ტემპით იკრიფება და უდანაკარგოდ ბარდება სახელმწიფო მარანს.

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის 8 ოქტომბრის ოპერატიული მონაცემებით, წითელწყაროს რაიონის მეშვრეებმა მოკრიფეს და მარნებს გადასამუშავებლად ჩაბარეს 36.935 ტონა ყურძენი, რაც წლიური საგეგმო დავალების 64,8 პროცენტია.

განსაკუთრებით თავი იახელეს ქვემო ქედის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრებმა მზია პაპიაშვილმა და შოთა გოგენელაშვილმა. თითოეული მათგანი ყოველდღიურად 800-900 კილოგრამ ყურძენს კრეფს.

ს ა ხ ე ლ ო ბ ა ზ ე: წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები მზია პაპიაშვილი და შოთა გოგენელაშვილი.

ვ. გენგიურის ტექსტი და ფოტო.

9 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღეა

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

გ. დ. მგელაძე,

საქართველოს სსრ სახოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

• •

თავიანთ წლევანდელ დღესასწაულს რესპუბლიკის სოფლის მშრომელები ეგებებიან გეოგრაფიასკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულის წინ. ამ თარიღის აღსანიშნავად სოფლის შრომითმა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. მისი პირველი შედეგები სასიხარულოა. ისევე, როგორც წინა წლებში, თავი გამოიჩინეს მეჩაიეებმა. მათ მოკრიფეს 540 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი, გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი. უხვ მოსავალს მოველიან მეციტრუსეებიც. წინასწარი მონაცემებით, ციტრუსოვანთა პლანტაციებში მოიკრიფება 300 ათასი ტონა ნაყოფი, შარშანდელზე 30 ათასი ტონით მეტი.

კეთილი გარდაქმნები მეგბღეობასაც შეეხო. განსაზღვრა, კერძოდ, ინტენსიური მებაღეობის ზონები, შექმნილია მსხვილი სპეციალიზებული კომპლექსები და მეურნეობანი. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაღების მოსავლიანობა. დღეისათვის მოკრეფილია 248 ათასი ტონა ხილი — 4 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის.

ქენის იმსახურებენ ჩვენი მებოსტნეებიც. ხუთწლედის დამდეგიდან, მაგალითად, დამზადებულია 715 ათასი ტონა ბოსტნეული, ანუ 33 ათასი ტონით მეტი საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით. დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიქმნა გორის, კასპის, ხაშურის, ადაგენის, თერჯოლის, ვანის რაიონების, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების მიწათმოქმედებს, რომლებმაც შექმნეს შესაძლებლობანი, რათა მთელმა რესპუბლიკამ შეასრულოს მიმდინარე წლის ბოსტნეულის დამზადების გეგმები.

შემჭიდროებულ ვადებში, მაღალ ხარისხობრივ დონეზე განახორციელეს სეზონური სამუშაოები მეკარტოფილეებმა. გადაჭარბებით შეასრულეს კარტოფილის დამზადების წლიური გეგმა ბოლნისის რაიონის მშრომელებმა. უხვი მოსავალი მოიწიეს წალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ფმანისის რაიონების მეკარტოფილეებმა.

კეთილ სტყვას იმსახურებენ ჩვენი მემინდვრეები. მათ მარცვლეულის, ლობიოს, მზესუმზირას, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს.

ჩვენი სოფლის მშრომელების წარმატებანი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისინი მოპოვებულია მიმდინარე წლის გაზაფხულისა და ზაფხულის ამინდის მეტად რთულ პირობებში. თითქოსდა, ბუნების მთელი ბოროტი ძალები დასტეხოდა თავს ჩვენს მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს. ადამიანთა ვაჟკაცობა და პროფესიული ოსტატობა, მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა იმ წარმატებული მუშაობის საწინდარი გახდა, რომელიც რესპუბლიკაში გაიშალა პარტიული, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის. მოკლე ვადებში ამოქმედდა ყველა არსებული რეზერვი და შესაძლებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის.

სტიქიამ ყველაზე მეტად დააზარალა მევენახეობა — ჩვენი მიწათმოქმედების წამყვანი დარგი. მაგრამ მევენახეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ დანაკარგების შემცირებისათვის, იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი ყურძენი.

აღმავლობის გზაზეა მეცხოველეობა და საკვებწარმოება — განსაკუთრებული ზრუნვის დარგები. ნაყოფს იძლევა დიდი ყურადღება, რომელსაც პარტია და მთავრობა უთმობენ მეცხოველეობასა და საკვებწარმოებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშანდელთან შედარებით, რესპუბლიკაში გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება, იქმნება მტკიცე საკვები ბაზა. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების ცხრა თვის გეგმები. შეჯიბრებას ამ დარგში სათავეში უდგანან ახალქალაქის, საგარეჯოს, კასპის, წითელწყაროს, ფმანისის, გორისა და სხვა რაიონები.

ამავე დროს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, გადასაწყვეტი პრობლემა. ისინი ეხება სოფლად მუშაობის ბევრ მხარეს. საქმეროა, უწინარეს ყოვლისა, ავამაღლოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა. მივაღწიოთ, რომ თითოეული მეურნეობა იყოს რენტაბელური, უთუოდ ასრულებდეს პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმებს, განამტკიცებდეს თავის ეკონომიკურ პოტენციალს. უაღრესად საჭიროა პროტესტაში დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, შრომის მოწონაე მეთოდები, მიწათმოქმედების პროგრესული ხერხები, რომლებიც გავლენას მოახდენს მოსავლიანობის გადიდებასა და პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებაზე. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებზე, მათს გეგრგიანობაზე, უნარზე, არ ჩამორჩნენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც დღეს წაყენებული აქვს სოფლის მეურნეობას.

ჩვენი მაგისტრალური ამოცანა ის არის, რომ ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, ღირსეული წვლილი შევიტანოთ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, წლითწლობით მიგვეცეთ სამშობლოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სულ უფრო მეტი პროდუქტი. (საქინფორმი).

საბჭოების მოვალეობა, ამოცანები

10 ოლოსანს სასიკეთო, ოვალსაჩინო ძალები მოსდა ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ცხოვრებაში. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ისინი სულ უფრო სრულყოფენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, პრაქტიკულ საქმეებში ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას და მუშაობის ახალ ფორმებს.

ჩვენი საბჭოების ამ დიდ და ნაყოფიერ მუშაობაში, მათს ცხოვრებაში საგულისხმო მოვლენა იყო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება. იგი თავისი შინაარსით, მომზადების, მიმდინარეობის დონითა და ფორმით საინტერესო და უაღრესად სასარგებლო გამოდგა.

საბჭოების ამ დიდი ფორუმის წარმატებას, სიახლეების, დადებითი გამოცდილების გავრცელებასა და განზოგადოებას დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკთა, მეცნიერთა მონაწილეობით ორგანიზებულმა სექციურმა მუშაობამ, რომელიც პლენარულ სხდომას უძღოდა წინ. მუშაობის ორი დღის მანძილზე კრების მონაწილეებმა ერთმანეთს გულახდილად გაუზიარეს მოსაზრებანი, წინადადებანი, გამოცდილება, ყოველივე ის ახალი და პროგრესული, რაც ჩვენი ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას ახასიათებს. ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, ტყიბულის, მარნეულის, ბოლნისის, ლენტეხის, თერჯოლის, ზესტაფონის, აბაშის, გორის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, ყვარლის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ზოგიერთი სხვა საქალაქო, რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუშაობის იმ დადებითს გამოცდილებაზე, უკანასკნელ ხანს რომ შეიძინეს მათ.

ჩვენი თანამედროვეობა მაღალ მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ საბჭოებს — სახელმწიფო ორგანოთა ძირითად რგოლს, ადგილებზე პარტიის პოლიტიკას პრაქტიკულად რომ ახორციელებენ. ამიტომ არის, რომ საბჭოები აძლიერებენ ყურადღებასა და ხელმძღვანელობას სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების განხორციელებისადმი. ისინი ზრუნავენ მოსახლეობის მომსახურების გაუჯობესებისათვის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის. „იქ, სადაც საბჭოთა ორგანოები აქტიურად მოქმედებენ, — თქვა კრებაზე გამოსვლისას ს კ კ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, — მარჯვედ უსმენენ ერთმანეთს მმართველობის, ორგანიზატორულ, საკონტროლო, აღმშრდელობითს ფუნქციებს, როგორც წესი, აშკარად იგრძნობა უფექტიანი გავლენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს პროცესზე".

ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იმსჯელა თელავის საქალაქო საბჭოს, ბოლნისის რაიონის კაზრეთის სადაბო საბჭოს და გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ და სათანადო დადგენილებაც მიიღო, ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ როგორ მზრუნველობას იჩენს და ეხმარება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია საბჭოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად საბჭოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, თავიანთ ტერიტორიაზე დიდ მუშაობას ეწევიან სოფლებისა და დაბების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად. პარტიული ორგანიზაციების მაგალითისამებრ საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ფართოდ ამკვიდრებენ მუშაობის საჯაროობას, მიღებული დადგენილების შესრულებისადმი კონტროლს, ზრუნავენ თითოეული მუშაკისა და აღმასკომების ხელმძღვანელთა ავტორიტეტის ასაღლებისათვის. ყოველივე ეს, ცხადია, ხორციელდება საერთო საქმის სასიკეთოდ, ამომრჩეველთა განაწესის უფრო შესრულების უზრუნველსაყოფად, იმ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებსაც პარტია, სახელმწიფო, ხალხი უსახავენ მათ. ჩვენი ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები, მუდმივი კომისიები ყოველმხრივ უნდა ცდილობდნენ გვერდში ედგნენ აღმასკომის თავმჯდომარეებს და ხელს უწყობდნენ მათ მუშაობაში. ამასთან თავისთავად აღმასკომების თავმჯდომარეები თვითონვე უნდა იყვნენ საქმის ნამდვილი ორგანიზატორები და შემოქმედებითი ხელმძღვანელები, მუდამ უნდა ახსოვდეთ და იყვნებდნენ ყოველდღიურ მუშაობაში სახელმძღვანელო მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ ყოველი საბჭოთა ხელმძღვანელი სახელმწიფო პირია, და მას მუდამ უნდა ახსოვდეს ეს, შეგნებული ჰქონდეს თავისი მდგომარეობის მთელი ძალა და პასუხისმგებლობა. საბჭოებში ჩვენ გვჭირდება საქმის ნამდვილი ენთუზიასტები, ჭეშმარიტი ლიდერები, რომლებსაც ხალხი აწინაურებს.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, ნიადაგისა და ტექნიკის რაციონალურად გამოყენებას, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას, ამ მიზნით რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები გადამწყვეტ უნებებზე ქმნიან დეპუტატთა საგუშაგოებს, რომლებიც სახალხო კონტროლის ჯგუფთან ერთად ზრუნავენ სამუშაოთა უკეთ ორგანიზაციისათვის. ახლა სოფლად მოსავლის აღების, დაბინავება-შენახვის, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ცხარე დღეებია. საბჭოებმა, აღმასკომებმა, დეპუტატებმა, მთელმა აქტივმა ყველაფერი უნდა იღონონ ამ კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის.

უკანასკნელ წლებში საქალაქო, სახოფლო და სადაბო საბჭოებმა ბევრი კარგი ნამოწყების მოთავეობა გამოიჩინეს. ახეთი იყო, მაგალითად, გალის რაიონის მზიური და თელავის რაიონის სანიორის სასოფლო საბჭოების ინიციატივა, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. რესპუბლიკაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დვეზით „მაგისტრალებს — ლამაზი იერი, სოფლებს — მაღალი კულტურა!", სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფექტიანობისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად ხსვადასხვა დროს მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინეს გორის რაიონის ტყვიავის, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის, თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის, თელავის რაიონის წინანდლის, ყვარლის რაიონის გავაზის, წყალტუბოს ზონის მაღალის და სხვა სასოფლო საბჭოებმა. ფაქტია, რომ ამ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკაში, რითაც ბევრი კარგი და სასიკეთო პრობლემა მოგვარდა და გადაწყდა. ამიტომაც ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაფართოოთ ეს პატრიოტული მოძრაობა და ხელი შეეწყოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შეგებული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას. სოფლების, ქალაქების, რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალების კეთილმოწყობის, გალამაზების, მათთვის სასიამოვნო იერსახის შექმნის პრობლემებს ეძღვნება „კომუნისტში" შემოღებული ახალი რუბრიკა „გზადაგზა, თვალის ერთი გადავლებით", რომელიც სისტემატურად გამოქვეყნდება გაზეთის ფურცლებზე.

საბჭოების მუდმივი მზრუნველი ხელი სჭირდება ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ნამოწყებულ ექსპერიმენტებს, რომელთა განვითარება, სრულყოფა და გავრცელება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებით არის ნაკარნახევი. ერთი სიტყვით, საბჭოების მთელი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა, შემოქმედებითი, ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს პარტიის წინასწარდასახულობათა ხორციშესხმას, ხელწყვედის დავალებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

ახლა დიდი დაძაბული და შემოქმედებითი მუშაობა მართებთ ჩვენს ადგილობრივ საბჭოებს. საჭირო იქნება რესპუბლიკური კრების შედეგები, მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ფართოდ გავაცნოთ დეპუტატებს, აქტივს, ყველა მშრომელს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამჟ. ე. შევარდნაძის გამოსვლაში აღძრული პრობლემების, დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის მუშაობას. სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე უნდა განვიხილოთ იმეი პრობლემები, დავსახოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც სოფლისა და ქალაქის მშრომელებს შეუქმნის ნორმალური მუშაობის, ცხოვრების, კულტურული განვითარების პირობებს. საჭირო იქნება სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზებული საქმიანობის ახალ დონეზე აყვანა. ამისათვის გონივრულად უნდა განვაზოგადოთ შეძენილი გამოცდილება, ხელი შეუწყოთ მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილეს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებამ, რომელიც 1983 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა, ფართო გამოხმაურება პოვა მთელ მსოფლიოში. ეს განცხადება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია, იგი ღრმად და ყოველმხრივ გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კურსს ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებლად, საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად. განცხადება შეიცავს მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის ზუსტ კლასობრივ ანალიზს, იმ მილიტარისტული კურსის პრინციპულ შეფასებას, რომელსაც საერთაშორისო საქმეებში ატარებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, და საკადრისი პასუხი აქვს გაეცემული პრეზიდენტ რეიგანის უხეშ მონაჩმახსა და ბოროტ თავდასხმებს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებზე.

ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას ფართოდ გამოეხმაურა მთელი საბჭოთა ხალხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისამართით, პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში შემოვიდა და კვლავ შემოდის მშრომელთა დიდძალი წერილები. შრომითს კოლექტივებში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრებები. მოსკოვში მოეწყო მასობრივი ომის საწინააღმდეგო მანიფესტაცია. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მის მტკიცე ურყევ გეზს—უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროება და დაიცვას მათი ღვიძელი ინტერესები, ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებასა და დამკვიდრებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, გამალებული შეიარაღების ალაგმვას. საბჭოთა ადამიანები გულისწყმოით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის ავანტიურისტულ, კაცთმოძულეობრივ პოლიტიკას, ანტიისაბჭოურ კამპანიას, ნატოს ქვეყნებსა და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ არის გაჩაღებული.

საბჭოთა კავშირის მშრომელები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით განამტკიცონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას ფართოდ უპერენ მხარს მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები, კომუნისტური და მუშათა პარტიები, მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის ორგანიზაციები და მოძრაობანი. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს დოკუმენტი დიდად მნიშვნელოვანი და აქტუალურია მთელი კაცობრობისათვის, ხალოდ გამოხატავს სსრ კავშირის გადაწყვეტილებას იბრძოლოს, რათა შეიჯაროს მილიტარიზმის ძალები, იხსნას მსოფლიო ბირთვული ომის გაჩაღებისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომელიც დიდად აფასებს საბჭოთა ადამიანების კეთილშობილურ გრძნობებს, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა სოლიდარობას, ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უცვლელი ერთგულება მშვიდობის ლენინური პოლიტიკისადმი და ამასთანავე კვლავ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი შეძლებს საკადრისი პასუხი გასცეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს საშიში ზრახვების განხორციელების ყველა ცდას, და რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დასახა ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში ჩამოყალიბებული იდეებისა და დებულებების შემდგომი ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში მათი პრაქტიკული განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. შრომითს კოლექტივებში პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მეჩიდროდ უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას ყველა უბანზე, აქტიურად უწყობდეს ხელს მშრომელთა მობილიზაციას გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა და მოიწონა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვისა და იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ა. ნ. მუჰამედის საუბრის შედეგები, რომლის დროსაც დადასტურდა, რომ ორ ქვეყანას ერთნაირი შეხედულებანი აქვს საერთაშორისო ვითარების, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლის საკვანძო პრობლემებზე, გამოითქვა მისწრაფება თანამიმდევრულად გაღრმავდეს და განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული იემენის ძმური თანამშრომლობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნის პროგრამის რეალიზაციისათვის. უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის ამ ვრცელ ზონაში დიდი მუშაობაა გაწეული მიწების მელიორაციისა და ქიმიზაციის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული და ტექნიკური განმტკიცების, სოფლის სოციალური გარდაქმნისათვის. პარტიის კურსი არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნისათვის და ის ღონისძიებანი, რომლებიც უკვე განხორციელდა, სასიკეთო გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის საქმეთა მდგომარეობაზე. გადიდდა მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოება. შარშან და მიმდინარე წელს არაშავმიწანიადაგიანი ზონის ოლქებმა და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა შეასრულეს პურის დამზადების გეგმა. რამდენჯერმე გაიზარდა ხორცისა და რძის შესყიდვა.

ამასთანავე მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნისათვის ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. ხშირად ვერ უზრუნველყოფენ საჭირო შემბრუნებლას სოფლის სოციალურ გარდაქმნაში. ზონის სოფლის მეურნეობა ნელა გადადის განვითარების ინტენსიურ გზაზე ფართო მელიორაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე. ამის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და შექმნილი საწარმოო ფონდები არ იძლევა ჯეროვან უკუგებას.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიის საოლქო კომიტეტებსა და საოლქო აღმასკომებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების ტემპის დასაჩქარებლად არაშავმიწანიადაგიანი ზონის მაღალგანვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის რეგიონად გადაქცევისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭირო გადაწყდეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება შრომის პირობების, სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის შემდგომ გაუმჯობესებას, ამ საქმეში ქალაქის საწარმო-ორგანიზაციათა ფართო ჩაბმას. მიზანშეწონილად არის მიჩნეული, მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის მომზადებისას შემოშავდეს დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს არაშავმიწანიადაგიანი ზონის შემდგომ განვითარებას, ქვეყნის ამ ზონის სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა ამხანაგ ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბ. ხნოუპეკთან მისი მოლაპარაკების შესახებ.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ერიხ ჰონეკერსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვილი შტოფს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 34 წლისთავის გამო.

დეპეშაში ნათქვამია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ევროპის ომისშემდგომი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მან გახსნა გზა გერმანიის მიწა-წყალზე მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი იდეების ხორცშესხმისათვის.

განვლილი 34 წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერით მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკის განვითარებაში, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობაში, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. სოციალისტური წყობილებამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს მიანიჭა ნამდვილი თავისუფლება. უზრუნველყო მათთვის ადამიანის ყველა უფლება, შესაძლებლობანი პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ადგას რა მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოების ერთიან კურსს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აქტიურად იბრძვის მილიტარიზმის, აგრესიის, ეროვნული და რასობრივი ჩაგვრის ძალების წინააღმდეგ, მშვიდობის, განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ყველა ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საქმისათვის. ასეთი პოლიტიკის მეოხებით გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოიპოვა მშვიდობისმოყვარე ხალხების სიმპათიები და სამართლიანად სარგებლობს მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტით.

საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მომენტიდან ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა და თანამიმდევრულად ვითარდება მეგობრობის, პატივისცემისა და ნდობის ურთიერთობა. ამ ურთიერთობას, რომლის ღერძია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საბრძოლო ერთიანობა, დაფუძნებულია მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ საძირკველზე, 1975 წლის 7 ოქტომბრის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაზე, ვარშავის ხელშეკრულებისადმი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურყევ ერთგულებაზე.

დღეს არ არის პარტიული, სახელმწიფო, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი დარგი, სადაც სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყველაზე მჭიდროდ არ თანამოქმედებდნენ. ეს ძმური თანამშრომლობა, რომელშიც ჩაბმულია მილიონობით ადამიანი, არის ორი სახელმწიფოს ხალხთა ისტორიული მონაპოვარი, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყველაფერი იღონონ, რათა განავითაროონ და გააღრმაონ მეგობრობის ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ჩვენს გერმანელ მეგობრებთან ერთად კვლავაც დაუცხრომლად ვიზრუნებთ სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლებისათვის მისი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში ეს არის გადამწყვეტი წანამძღვარი მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული გეგმების ჩაფუშვისათვის.

აღვნიშნავთ რა თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს, სულითა და გულით ვუსურვებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს მოიპოვებინოთ ახალი დიდი წარმატებანი განვითარებულ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში".

(საკდესი).

ეკიპაჟმები სტარტისათვის ემზადებიან

**საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი კ

ეპარტიული ცხოვრება: ჩერილები კირველკაი ორგანიზაციებიდან

კომუნისტთა კრების სამსჯავროზე

როცა ხელმძღვანელი ნდობას ვერ ამართლებს

ახლოლდ ერთი წელი გავიდა, რაც თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ განთავლებით აგრონომი, საკმაო გამოცდილების მქონე კომუნისტი დ. რობაქიძე აირჩიეს. იმედი ჰქონდათ, რომ ახალგაზრდა კაცი სოფელს გაუძღვებოდა, ღრმად ჩასწვდებოდა პრობლემებს, სოფლის ეკონომიკას... ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ კიდეც აღუთქვა პარტიის რაიონულ კომიტეტს, აგროსამრეწველო გაერთიანებას, სოფელს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდა სოფლის კეთილდღეობისათვის, მაგრამ მისი სიტყვები მხოლოდ დაპირებად დარჩა.

კოლმეურნეობაში შესუსტდა დისციპლინა და მომთხოვნელობა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ 1983 წლის მეორე კვარტლის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობის 311 შრომისუნარიანი წევრიდან კაცდაეების დაწესებული მინიმუმი 118-მა, ანუ კოლმეურნეობის წევრთა 37,1 პროცენტმა ვერ შეასრულა. ეს გასული წლის ამავე პერიოდს 21,6 პროცენტით სჯარბობს, ხოლო რაიონის წლევანდელ საშუალო მაჩვენებელზე სამჯერ მეტია.

თავმჯდომარე არც საკოლმეურნეო ქონების ხელყოფას მორიდებია. როცა კოლმეურნეობის კუთვნილი დაფნის ფოთოლი დამზადების გაერთიანების საწყობში მიიტანეს, კოლმეურნეობის სახელზე კი არ გაწიოწერა, არამედ როგორც კოლმეურნეების გ. როგაძისა და თ. გოქაძის კუთვნილი პროდუქცია, თუმცა ამის შესახებ მათ არ იცოდნენ. დაფნის ღირებულება — 420 მანეთი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩაიჯიბა. ეს ალმაშფოთებელი ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ კომუნისტებს, რომლებმაც არ ამატეს თავიანთ ვაი-ხელმძღვანელს.

ალისუბნელმა კომუნისტებმა პრინციპული შეფასება მისცეს თავმჯდომარის უმსგავსო მოქმედებას. მათ პარტიულ კრებაზე დაგმეს მისი საქციელი, უნდობლობა გამოუცხადეს და წინადადება შეიტანეს კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებაზე თავმჯდომარეობიდან მისი დაუყოვნებლივ გადარჩევის შესახებ.

კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ მიიღო პარტიული ორგანიზაციის წინადადება და უღირსი თავმჯდომარე თანამდებობიდან გადაირჩია.

გენდობიან როგორც კომუნისტს, მოქალაქეს, სჯიროთ შენი ენერგიის, გამოცდილების, ცოდნისა, გვერდი გიდგანან, გეხმარებიან, ყველა ერთი შენგენით ცხოვრობს, ყველას ერთი საფიქრალი და საღვაწი აქვს — სოფელი წინ წავიდეს, უფრო გალამაზდეს, აშენდეს... კოლმეურნეობის თავკაცი კი ამ დროს საზოგადოებრივ დოვლათს ხელყოფს. რა უნდა იყოს ამაზე სამარცხვინო და დიდი დანაშაული!

სწორედ ასეთი ფაქტების შესახებ აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა: „საჭიროა, კერძოდ, მთლიანად მოვუღოთ ბოლო ისეთ მოვლენას, როგორიც არის პირადი გამდიდრების მიზნით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების შემთხვევები, რადგან თუკი ჩავუფიქრდებით, ეს სხვა არა არის რა, თუ არა თვით ჩვენი წყობილების არსებითის ძირის გამოთხრა“.

დ. რობაქიძის შესახებ მასალები შემდგომი ძიებისათვის პროკურატურას გადაეცა. კომუნისტები მისი პარტიულობის საკითხს ძიების დამთავრების შემდეგ განიხილავენ.

გ. ხიჯაკაძე.

მეცხოველეობას—დამკვრელური შრომა

ტემპი, ტემპი საკვებმომპოვებლებო!

მთავრდება მუშაობა რესპუბლიკაში მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. თიბვის დამზადება პირველებმა დაამთავრეს გორის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც დავალება 112 პროცენტით შეასრულეს.

როგორ იმარაგებენ საკვებს დანარჩენი რაიონების მეცხოველეები, როგორ ემზადებიან პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვისათვის? საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამაზე გვესაუბრება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საკვებწარმოების მთავარი სამმართველოს უფროსი ნ. გოდაბრელიძე:

— ცუდი ამინდების მიუხედავად მრავალ მეურნეობაში საკვები დამზადებისას მუშაობის სწრაფი ტემპი აღინიშნა. ოქტომბრის დამდეგისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მომარაგებულია მილიონ 263 ათასი ტონა უხეში საკვები — გეგმის 84,7 პროცენტი.

ხშირი წვიმების წყალობით ბალახი წლეულს ყველგან უხვად იყო. მეურნეობებში, სადაც ნამდვილად ზრუნავენ მეცხოველეობისათვის, ბალახის თიბვა კარგად არის ორგანიზებული. მაგალითად, ლენტეხისა და თელავის რაიონებში თივის დამზადების საგეგმო დავალებები 109 პროცენტით შესრულეს. მათ სულ ცოტათი ჩამორჩებიან სიღნაღისა და ზესტაფონის რაიონების საკვებმომპოვებლები. თივის დამზადების გეგმის რეალიზაციას უახლოვდებიან ლაგოდეხის, გარდაბნის, წითელწყაროსა და გურჯაანის რაიონების მშრომელები.

ისიც უნდა ითქვას, რომ შემოდგომის უამინდობა მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით მთის რაიონებში საშუალებას არ იძლევა დროულად აიღონ ბალახის მოსავალი, ფერმებს მიაწოდონ თივა.

უამინდობა უარყოფითს გავლენას ახდენს აგრეთვე ნამჯის დამზადებაზე. გეგმით გათვალისწინებული 330 ათასი ტონის ნაცვლად, დამზადებულია 180 ათას ტონაზე ცოტა მეტი. იმისათვის, რომ შევავსოთ უხეში საკვების მარაგი, ნამჯას ვამზადებთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — სარატოვის ოლქში.

წლეულს ბევრმა მეურნეობამ შექმნა სენაჟის კარგი მარაგი — ორჯონიკიძის, ამბროლაურისა და აბაშის რაიონებმა თავი ვერ გაართვეს დავალებებს. გასაუმჯობესებელია სენაჟის ჩადების ხარისხი. ყველგან როდი იცავენ ტრანშეებში მწვანე მასის ჩადების ტექნოლოგიას, ეს კი უთუოდ გამოიწვევს საკვების გაფუჭებას.

მრავალი წლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამინდის ხშირი ცვლილების პირობებში უფრო ხელსაყრელია სილოსის დამზადება, ვიდრე სენაჟისა. მაგრამ ბევრ მეურნეობაში ეს არ გაითვალისწინეს და მოიმარაგეს სენაჟი სხვა, ასევე საჭირო საკვების დამზადების საზარალოდ. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 100 ტონა სენაჟის ნაცვლად მოიმარაგეს 1.500 ტონა. ამავე დროს ბალახის ფხვნილის წარმოების დავალება შესრულდა მხოლოდ ოცი პროცენტით. ასეთივე მდგომარეობაა აგრეთვე სილოსის რაიონში.

რაც შეეხება სილოსს, ამ წვნიანი საკვების სიმედო მარაგი შექმნეს დმანისის, ონის, ბოგდანოვკის რაიონების მშრომელებმა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად რესპუბლიკაში სილოსის დამზადება ნელა მიმდინარეობს. ჯერჯერობით დამზადებულია გეგმით გათვალისწინებულის ნახევარზე ნაკლები. ამ საქმეში ჩამორჩებიან გორის, მცხეთის, ქარელის, თიანეთისა და სხვა რაიონების მეურნეობები.

დასავლეთ საქართველოში გრძელდება სასილოსე სმინდის მოსავლის აღება. ოქტომბრის შუაგულში დაიწყება სანაწყვარლო კულტურების მოსავლის აღება, რომლებისაგანაც დაამზადებენ სილოსს.

საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი წვნიანი საკვები — ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ფერმების პროდუქტიულობა ბაგურ პერიოდში.

საკვებდამამზადებლებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ კარგი ამინდები, უდანაკარგოდ აიღონ ის, რაც მოიწიე, საკმაოდ დაამზადონ ხარისხოვანი საკვები, უზრუნველყონ პირუტყვის მაძღრისი გამოზამთრება.

გადმოუტვირთავი ვაგონები: ვინ არის დამნაშავე?

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალისა და ცხრა თვის გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 250 ათასი ტონა ტვირთი გაუგზავნა. შედეგი, რა თქმა უნდა, საგულისხმოა, მაგრამ ვაგონების გადმოტვირთვასთან დაკავშირებული საგანგაშო მდგომარეობა რომ არა, ამ ფაქტზე ყურადღება შეიძლება არც კი გაგვემახვილებინა.

დღეს რკინიგზის ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობის გარეშე ეკონომიკაში რაიმე მიღწევებზე ლაპარაკი ზედმეტია. რკინიგზის სრულყოფილი მუშაობის შეფასების უმთავრესი და, თუ გნებავთ, ერთადერთი კრიტერიუმი კი ვაგონთა ბრუნვის საკითხი გახლავთ. ვაგონთა ბრუნვა თავის მხრივ, უპირველესად, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი სიჩქარით გადმოვტვირთავთ და შემდეგ დავტვირთავთ მათ.

ვაგონების ოპერატიული გადმოტვირთვით წარმოუდგენლად დიდ დახმარებას გავუწევთ როგორც რკინიგზას, ისე მთელ სახალხო მეურნეობას, მილიონობით მანეთ ზარალს ავუნაზღაურებთ ქვეყანას. აქ მონდომება, ღრმა მოქალაქეობრივი შეგნება, საქმიანადმი კეთილსინდისიერი, სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო. ეს ის შემთხვევაა, როცა ვითარებისადმი უწყებრივი დამოკიდებულება პირდაპირ დამღუპველად მოქმედებს ყველაფერზე.

როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე, ისე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის საკითხი წინა პლანზე იყო წამოწეული, ამას პარტია სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს და ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რკინიგზისადმი ჩვენი გულწრფელი დამოკიდებულების გარეშე მდგომარეობა ვერ გამოსწორდება.

განა ალმაშფოთებელი არ არის ის ფაქტი, რომ პირველიდან ოც სექტემბრამდე გადმოუტვირთავ ვაგონთა რაოდენობამ, აგვისტოს შესაბამის პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელი შემცირების მაგიერ, 106 ერთეულით იმატა და დღე-ღამეში საშუალოდ 468 შეადგინა? თითქოსდა, ასეთი ვითარება, ტვირთის მიმღებებს საგანგებო შემთხვევად უნდა გამოეცხადებინათ, გამოეტანათ აქედან სათანადო დასკვნები და ყველაფერი ეღონათ მდგომარეობის უთუო გამოსწორებისათვის.

მოხდა პირიქით, მარტო 4 ოქტომბრის დღე-ღამის განმავლობაში გადმოუტვირთავ ვაგონთა რაოდენობა საქართველოში კვლავ მკვეთრად გაიზარდა და 560-ს მიაღწია. პირდაპირ საკვირველია ამ მხრივ რესპუბლიკის ხელობსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საწარმოების თვითნებობა. ამ დღეს, მაგალითად, ზემოხსენებული სამინისტროს ორგანიზაციების წყალობით ბათუმის, ქუთაისის, თელავის, არგვეთის, ხრესილის სადგურებში გადმოცლის ჯერს 40 ვაგონი ელოდებოდა და ბევრი ახლაც ელოდება. ასე განსაჯეთ, ახმეტის პატარა საკონსერვო ქარხანაც კი, რომელიც ტარას თელავის სადგურის მეშვეობით იღებს, უფლებას იტოვებს დღე-ღამეში ხუთი გადმოუტვირთავი ვაგონი მიატოვოს.

ამ და სხვა საწარმოების ხელმძღვანელებს რომ მსგავსი შემთხვევებისათვის საკადრისი მიეზღოთ, გვერწმუნეთ, ბევრს ეს პასუხისგების გრძნობას აუმაღლებდა. კარგი იქნება, თუ ამას გაითვალისწინებენ პარტიის სოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები. რაც შეეხება სამინისტროებს, რომლებიც სიტუაციას ჯერჯერობით უწყებრივი მდგომით აფასებენ, თავიანთ კომპეტენციაში მყოფ საწარმოთა ხელმძღვანელებს ვერც დასჯიან და არც დასჯიან.

საუბარს კვლავ 4 ოქტომბრის დღე-ღამის მონაცემებით განვაგრძობთ: ამ პერიოდში ორამირის სადგურში სსრ კავშირის კვების მრეწველობის ორგანიზაციის მზესუმზრიანი 44 ვაგონი, სადგურ დრანდაში კელასურის ხე-ტყის დამუშავებელი კომბინატის 10 ვაგონი, ბათუმში აჭარის კოლმეურნეობებისათვის განკუთვნილი 36 ვაგონი და ნავთობბაზის სახელზე მოსული 41 ვაგონი ცდებოდა. „საქმთავარმომარაგების“, რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და ღვინის მრეწველობის კომიტეტის ორგანიზაციების მრავალი ვაგონი იყო მიტოვებული უპატრონოდ ამ დღეს ლოლოს, ავჭალისა და საგარეჯოს სადგურებში.

34 სხვადასხვა სახეობის საქონლით სავსე ვაგონი იდგა 4 ოქტომბერს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაშიც. ამ საწარმოზე ბოლო ხანებში ხშირად ლაპარაკობენ. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, რომელიც აქ დაინერგა, გააუმჯობესა მუშათა პირობები, მნიშვნელოვნად შემსუბუქდა მათი შრომა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ვაგონების ერთ-ერთი დიდი მომხმარებელია. ჩვენ ვიცით, რომ მისი ხელმძღვანელობა ბევრს ღონობს ვაგონთა ბრუნვის დასაჩქარებლად და, არცთუ იშვიათად, შედეგიანადაც, მაგრამ ამ მხრივ სტაბილურობას ჯერ მაინც ვერ მიაღწია. საამისო ფაქტები გვაქვს: 2-დან 11 სექტემბრის ჩათვლით, მაგალითად, საკმაოდ დიდი რაოდენობის ტვირთის ნაკადის მიუხედავად, ზესტაფონელებს გადმოუტვირთავი არც ერთი ვაგონი არ დარჩენიათ. ეს კი იმას მოწმობს, რომ თუ განსაკუთრებულ მონდომებასა და ყურადღებას გამოვიჩენთ, საქმეს წინ ვერაფერი დაუდგება.

უმძიმეს ტვირთად აწევს რკინიგზას ქალაქ რუსთავის საწარმოები, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან მეტალურგიული ქარხანა და „აზოტის“ საწარმოო გაერთიანება. პირველის მისამართით დღე-ღამეში მოდის 200-250 ვაგონი და ამ ხნის განმავლობაში მათგან გადმოუტვირთავი რჩება საშუალოდ 84 ვაგონი. სექტემბერში მეტალურგებმა 1951 ვაგონი დააყოვნეს და ამისათვის 69.470 მანეთი ჯარიმა გადაიხადეს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ქარხნის საფინანსო მდგომარეობასა და აქედან გამომდინარე მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალს აწვება მძიმე ტვირთად.

მეტალურგებს რომ სექტემბერში ვაგონები ასე არ დაეყოვნებინათ, რკინიგზა მომზმარებელს დამატებით 46.696 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს მიაწოდებდა. როგორც უკვე ვთქვით, უკეთესად არც „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებაშია საქმე. ამ ორგანიზაციის მოუქნელი მუშაობით სექტემბერში რკინიგზის ხელიდან გამოეცალა 540 ვაგონის დატვირთვისა და ამით მომხმარებლისათვის 28.360 ტონა საქონლის გაგზავნის საშუალება. გასაგებია, რომ რუსთავის საწარმოებს, კერძოდ, მეტალურგიულ ქარხანასა და „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებას მრავალი ხელშემშლელი ობიექტური მიზეზი აქვთ, მაგრამ ამის აღიარება საქმეს როდი შველის. ფაქტი ის გახლავთ, რომ გადმოუტვირთავი ვაგონების 25 პროცენტი ჩვენს რესპუბლიკაში რუსთავზე მოდის. თუ რუსთავში ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსასწორებლად რამე რადიკალური ღონისძიება არ განხორციელდა, რკინიგზისა და საერთოდ რესპუბლიკის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდება.

ვაგონების საკითხს თავს ვერ ართმევს ვერც ბორჯომის №2 ჩამოსასხმელი ქარხანა. ეს საწარმო დღე-ღამეში თექვსმეტ ვაგონს აყოვნებს. ზოგიერთმა ორგანიზაციამ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების მაჩვენებლები სექტემბერში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მკვეთრად გააუარესა. ეს, უპირველესად, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ყარიმოების სახელმწიფო კომიტეტს ეხება. 1982 წლის სექტემბერში ამ კომიტეტის [illegible] 801 ვაგონი, [illegible] წლის ამავე დროის მანძილზე 1687 ვაგონი დააყოვნეს, საშუალო სადღეღამისო დაყოვნება 26-დან 56-მდე გადიდდა. „რეკორდიც“ ამას ჰქვია!

რკინიგზის შემადგენლობის გამოყენების თვალსაზრისით დასაკვეხნი არც რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს აქვს. ვიცით, რომ მისი ხელმძღვანელობა გულწრფელად განიცდის ასეთ მდგომარეობას, მაგრამ ეს არ კმარა. მეტი ქმედითი ღონისძიებანაა საჭირო საქმის მოსაგვარებლად. ასევე სასაყვედუროა ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციები. ბარშან სექტემბერში მათ მხოლოდ 14 ვაგონი დააყოვნეს, წლეულს კი სექტემბერში ნამდვილი „სასწაული“ მოახდინეს: 1775 ვაგონი „გაყინეს“. ეს ხომ შეუწყნარებელია!

მთლიანად სექტემბერში რკინიგზაზე გადმოუტვირთავ ვაგონთა რაოდენობამ მომხმარებელთა მოუქნელობით და უპასუხისმგებლობით 15299-ს მიაღწია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გადმოუტვირთავი ვაგონების რაოდენობა თითქმის გაორკეცდა.

მდგომარეობა, როგორც ფაქტები მოწმობს, მართლაც ძალზე საგანგაშოა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმებმა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს მუშაობის დიდი ამოცანები დაუსახა. ეს მუშაობა, უპირველესად, მთელი სახალხო მეურნეობის, კერძოდ მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის — რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომ აღმავლობას უნდა დაუკავშირდეს. რკინიგზის გამგეობა, შეუფერებელი მუშაობა კი, გადაუპარბებლად შეიძლება ითქვას, სანანყვროდ ტვირთის მიმღებ ორგანიზაციებზეა დამოკიდებული. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან დასკვნები და ყველაფერი ვიღონოთ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, წლის დამლეგამდე ყოველგვარი სირთულის დასაძლევად. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას უთუოდ გავითვალისწინოთ ვაგონების გადმოტვირთვასთან დაკავშირებული მაჩვენებლები. ვაგონების გადმოტვირთვაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა უნდა გახდეს საგანგებო მსჯელობის საგანი, მკაცრად ვაგებინოთ პასუხი დამნაშავეებს.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

თბილისის კამოლური დართვის ფაბრიკის კოლექტივი ღირსეულ საჩუქრებს უმზადებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 66-ე წლისთავს. მტკიცდება შრომისა და საწარმოო დისციპლინა, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდა საწარმოს მრავალი ქვეგანაყოფის კოლექტივი. მათ შორის გახლავთ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც დარეჯან ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მუშაობა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი მეთოდით, და საკმაოდ შედეგიანადაც. ყოველი თვის დავალება აქ საშუალოდ 108 პროცენტით სრულდება და ამჟერადაც ყველა საიუბილეო ვალდებულება ბრიგადამ პირნათლად შეასრულა.

სურათზე: კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი დარეჯან ფოცხვერაშვილი.

ვ. ფლორინსკის ფოტო.

ფოთის გემოემტრია გონიერ ხელს დაუხაზავს. დაუბერავს ზღვაური (ზღვა კი ნახევარწრედ აკრავს ქალაქს) — და ქარი ქუჩების რადიუსებით დაქროლებს, შემდეგ, როგორც წესი და რიგია, ცენტრალურ წრემდე მოაღწევს და საუცხოოდ გაანიავებს. ალბათ, ამიტომაც არის ასეთი ჯანსაღი ჰაერი ფოთში!

მაგრამ ახლა ამაზე არა გვაქვს საუბარი. ფოთის რადიუსები საკუთრივ პროსპექტები არ არის. აი, მოჩანს გემთშემაკეთებელ-შენებელი ქარხანის, წყალქვეშაფრთიანი მალი „კომეტებისა“ და „კოლხეთების“ მწარმოებლის ვეებერთელა კორპუსი. აქ კი ჰიდრომექანიზმების ქარხანაა — დიზელის მიწასაწოვი აგრეგატების გამომშვები მეთაური საწარმო ქვეყანაში... ნავსადგური, რომელიც ქვეყნის უდიდესი პორტების ათეულში შედის... ელექტრომანქანური მაძლიერებლების ქარხანა: ელექტრომრავები, მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ რომ იგზავნება.

50-ათასიანი მოსახლეობის ფოთის სამრეწველო პოტენციალი არ შეიძლება პატივისცემას არ იწვევდეს. აშკარად იგრძნობა მოძრაობის სიკეთე: რას აძლევს ქალაქს დარგები. გაცილებით ნაკლებინტენსიურია შემხვედრი მოძრაობა: დარგებისაგან ქალაქისაკენ.

— წაიკითხეთ! არის ლოგიკა? საქალაქო საბჭოს აღმასკომის მგეგმავს „ყურებით“ უჭირავს ნახევარგვერდიანი ცნობა. ასე უჩვენებს ხოლმე მასწავლებელი კლასს: აი, ასე არ უნდა ქნათო, ბავშვებო. ცნობაში რვა წლის ანალიზი საოქმო წესით აღნიშნავს დაგეგმვის პარადოქსს: ქალაქი გადაჭარბებით ასრულებს გეგმის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელს — ქალაქი იღებს იგივე ბიუჯეტს, რასაც შეუსრულებლობის წელს იღებდა. ის კი არა, უფრო ნაკლებსაც! ანდა პირიქით—„მოგების“ გრაფაში მინუსია, მეზობელ გრაფაში კი პლუსი, არის ლოგიკის დამთხვევაც — თუმცა შემთხვევითი, ისევე როგორც მისი დარღვევები. ხოლო, რა არის ქალაქის ბიუჯეტი, თავად მოგეხსენებათ. ეს არის ბინები, კეთილმოწყობა, კომუნალური მომსახურება, სოციალურ-კულტურული ყოფა, ვაჭრობა... ყოველივე ის, ურომლისოდაც დიდ საქარხნო გამომუშავებას დიდი ვერაფერი ხეირი მოაქვს. და იგივე ეკონომიკას სჭირდება კარგად გამგარებული ზურგი. როცა ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურა სამრეწველო პოტენციალს არ შეესაბამება, მაშინ იგი ვერ შეუწყობს ხელს მისივე შემდგომ ზრდას — ეს ცხადია. მე მიჩვენეს ბროშურა. თავის სტატიაში გ. კუხალეიშვილი, ფოთის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე, წერს: „ჩვენი ქალაქი თავისი კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურების დონით ჩამორჩება სხვა შავიზღვისპირა ქალაქებს“. და ეს მაშვრალ ფოთზე ნათქვამი! მაგრამ სტატიას „დასაწყისი“ ეწოდებოდა და ეხებოდა იმას, როგორ მოჰკიდეს ხელი აღნიშნული პარადოქსების აღმოფხვრის საქმეს.

ფოთში უკვე ამუშავებდნენ ექსპერიმენტის დებულებას, როცა გამოვიდა დადგენილება, რომელიც აფართოებდა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებას სამეურნეო მშენებლობაში. ნიშანდობლივი დამთხვევაა: მაშასადამე, ფოთელთა აზრი სწორი გეზით მიდიოდა.

რა არის ექსპერიმენტის არსი? ეკონომიკურ საფუძველზე დაამყარონ ქალაქში მოქმედ დარგებთან თანამშრომლობა. საქალაქო აღმასკომი, როგორც თავისი ტერიტორიის ნამდვილი ბატონ-პატრონი, უნდა გახდეს ცენტრალური წრე, რომლისკენაც წამოვა ეკონომიკის რადიუსები. სწორედ მას შეუძლია გადაქცეოს ისინი მოქმედების რადიუსებად, გავლენის, მართვა-გამგეობის რადიუსებად.

— ვისწავლოთ, რომ ვიყოთ ადგილობრივი მინისტრთა საბჭოო!

ხუმრობს ბაკურ გულუა, მაგრამ სულ არ ეხუმრება. პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შეუპოვრად ავითარებს აზრს: მართვა, და არა ფიქსირება. გავლენის მოხდენა საწარმოთა მუშაობის საბოლოო შედეგებზე. როგორ? დაეხმარონ მათ წარმოების განვითარებასა და გაფართოებაში, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებაში, საუკეთესო დარგობრივი მაჩვენებლების მიღწევაში. შეიმუშაონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ყარონ ქალაქში მოქმედ დარგებთან თანამშრომლობა. საქალაქო აღმასკომი, როგორც თავისი ტერიტორიის ნამდვილი ბატონ-პატრონი, უნდა გახდეს ცენტრალური წრე, რომლისკენაც წამოვა ეკონომიკის რადიუსები. სწორედ მას შეუძლია გადაქციოს ისინი მოქმედების რადიუსებად, გავლენის, მართვა-გამგეობის რადიუსებად.

— ვისწავლოთ, რომ ვიყოთ ადგილობრივი მინისტრთა საბჭოო!

ხუმრობს ბაკურ გულუა, მაგრამ სულ არ ეხუმრება. პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შეუპოვრად ავითარებს აზრს: მართვა, და არა ფიქსირება. გავლენის მოხდენა საწარმოთა მუშაობის საბოლოო შედეგებზე. როგორ? დაეხმარონ მათ წარმოების განვითარებასა და გაფართოებაში, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებაში, საუკეთესო დარგობრივი მაჩვენებლების მიღწევაში. შეიმუშაონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ერთ-ერთ ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებისა ოპერატიული ხელმძღვანელობის გახყოფილების მორიგე. საერთოკი აი, რა აქვთ: წინათ ამის გამკეთებელი არავინ იყო. არც ამის და არც ბევრი სხვა რამისა.

ვერ განვსჯი, შეიძლება ეწოდოს, თუ არა ადგილობრივ ორგანო „ადგილობრივი მინისტრთა საბჭო“. მაგრამ საქალაქო აღმასკომმა ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების სახით რომ მძლავრი მხარდაჭერა პოვა თავისი მმართველობითი უფლებამოსილების განხორციელებაში, — ეს აშკარაა. გაერთიანება მას ორგანიზაციულად ეკვრის: ეძვემდებარება ფოთის საბჭოს აღმასკომსა და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მისი უფროსი ერთდროულად საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეც არის, სესიებზე ამტკიცებენ ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების ხელმძღვანელთა საბჭოს შემადგენლობას, მალე, ალბათ, ერთი გახლავთ. ამას ხომ ხედავთ — — კარგია, არა? ეს ის არის, როგორც იტყვიან, ფეხქვეშ რომ გვეყარა. გრამი ლითონი აღარ გვეკარგება, საწარმოები საწარმოების ნარჩენებით მუშაობენ. გაერთიანების ფარგლებში ასეთი კოოპერაცია იოლი საქმე გახდა. საქალაქო აღმასკომის დავალებით სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდა თითქმის 300 პროცენტი გვაქვს. არა, ეს ნამდვილად რეალურია — ჩვენ ხომ ხულიდან დავიწყეთ... ახლა დამხმარე მეურნეობასაც ვაშენებთ. გაინტერესებთ, გაერთიანება თუ გვეხმარება? ეს ის არის, როგორც იტყვიან, „თანახმა ვართო“.

ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანება სამეურნეო ანგარიშით მუშაობს, მაგრამ მისი ანგარიში, როგორც ასეთი, შორს სცილდება ამ ფარგლებს. მერედა რა, რომ „საკავშირიანი“ დღესდღეობით არ მონაწილეობენ ფონდების შექმნაში თავიანთი სახსრებით — ამის გამო მათ არ დაკლებენ ყურადღებას. თქვენ იტყვით, ეს ქარხნები ქალაქის ინდუსტრიის ფლაგმანები არიან, როგორ გინდა, გვერდი აუაროო. ავიღოთ „არა ფლაგმანები“. დასახელია რესპუბლიკური დარგების საწარმოთა დაწინაურების მტკიცე ამოცანა. და, სასურველია, პირველთა დონემდე დაწინაურებისა. თუ არ კმარა ოპერატიული ხელმძღვანელობა — მიიღება ორმხრივი, უწყებაა-სამინისტროებთან ერთობლივი დადგენილებები, რომლებშიც დარგობრივი პოლიტიკა უკავშირდება ადგილობრივ რეზერვებსა და საჭიროებებს.

გაერთიანებაში გათვალისწინებულია საწარმოთა განსაკუთრებული ჯგუფი: უშუალოდ ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული, მისი სახსრებით აშენებული საწარმოები. ასეთები ბევრი დარგთშორისი საწყობი, აღჭურვილობის საამქრო. უკვე მოქმედებს ჩაის მრეწველობის ნარჩენებისაგან კონცენტრატების საწარმოო კომბინატი. მისი შექმნა, მართლაც აუცილებელი იყო. საჭირო პროდუქციაა, თანაც კომბინატი ქალთა დასაქმების შესაძლებლობას იძლევა, და, ბოლოს, ასეთი წარმოება ძალზე რენტაბელურია. გარდა ამისა, — რაც თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანია, — მისი მთელი შემოსავალი ქალაქს ხმარდება. წლის ბოლოს კომბინატი უკვე 2 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

ეს მხოლოდ ერთი შეხედვით მოჩანს, რომ შედეგები სწრაფად არის მოპოვებული. ხეზე ფოთოლი ერთ დღეში იშლება, მაგრამ იქამდე თავად ხე რამდენ ხანს იზრდება?

რატომ მოხდა, მაგალითად, რომ შპალერის (ესეც „სადეფიციტო“ კატალოგის ერთ-ერთი პუნქტი გახლავთ) გამომშვები საამქროს სანაბკო კრედიტი ფოთში სულ რაღაც ნახევარ წელიწადში გამოიყენეს, და იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფმოქმედი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეფექტიანი გამოდგა? იმიტომ, რომ საამისო პირობები უკვე არსებობდა. ქალაქი გეგმაზომიერად ეწევა მთელი საწარმოო ფართობების ინვენტარიზაციას — და საამქროსათვის ადგილის გამოძებნა (და არა ახლის აშენება) დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. მის სწრაფ აღჭურვას ხელი შეუწყო ქალაქშიდა კოოპერაციამ. მისთვის ჯერ კიდევ გუშინ მუშაობდნენ და ხვალაც განაგრძობენ მუშაობას. ასე უბიძგებს ხოლმე ერთი ვაგონი მეორეს, როცა მატერიები ადგილიდან დაიძვრის. ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანება უბრალოდ ორგანიზაციულად როდი ეკვრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, რომლის მთავარი საზრუნავიც არის ადამიანის საჭიროებებისათვის ზრუნვა. გაერთიანების მთელი მრავალფეროვანი, სამეურნეო, მმართველობითი საქმიანობა საბოლოო ანგარიშით ხმარდება მიზანს, რომელიც ახლობელი და გასაგებია თითოეული ფოთელისათვის.

...საქალაქო რესპუბლიკის გაერთიანებაში დანერგეს სადისპეტჩერო კავშირის სისტემა „ნალმასი“. მოძრაობის ინტერვალები ნახევარი საათიდან (!) 7 წუთამდე შემცირდა. დიახ, ზუსტად შვიდ წუთამდე. ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ეს ხელმძღვ

9 ოქტომბერი

ყველაფერი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

სოციალისტურ ქვეყნებში

● უნგრეთი

ელექტრონიკა სოფლად

ბუდაპეშტი. „ელექტრონიკა და სოფლის მეურნეობა“ — ეს ერთი შეხედვით უჩვეულო შეხამება წარმომადგენლობითი თათბირის თემა გახდა, რომელიც უნგრეთის ქალაქ კეჩკემეტში გაიხსნა. მის მონაწილეებს უკვე აქვთ შესაძლებლობა შეეჯაჭონ რესპუბლიკის ასამდე სახელმწიფო მეურნეობასა და კოოპერატივში კომპიუტერების წარმატებული დანერგვის პირველი შედეგები.

ელექტრონული ხელსაწყოების, მაღალმწარმოებლური გამოთვლელი მანქანების გამოყენება უზრუნველყოფს უხვი მოსავლის მიღებას, მასალებისა და ენერგიის მოხმარების ეფექტიანად გათვალისწინებას, საკვების ყაირათიანად გამოყენებას. გასაკვირველი არ არის, რომ მოთხოვნილება თანამედროვე გამომთვლელ ტექნიკაზე უნგრეთის სოფლებში დღითი დღე იზრდება.

იმ ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც აპირებენ თავიანთ მეურნეობებში ელექტრონიკას დანერგვას, კარგ ორიენტირად იქცა თათბირის დღეებში გახსნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ყველაზე სრულყოფილი სამამულო და საზღვარგარეთული გამომთვლელი მანქანები, კავშირგაბმულობის ტექნიკა.

● პოლონეთი

ჩაირთო მორიგი ენერგობლოკი

ვარშავა. დიდი შრომითი გამჯრიქვება უპატაკის სამშობლოს პოლონელმა ენერგეტიკოსებმა. სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩაირთო თბოელექტროსადგურ „პოლანეცის“ მორიგი, მერვე ენერგობლოკი, რომლის სიმძლავრეა 200 ათასი კილოვატი.

უკვე აიგო ამ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტის პირველი რიგი, რომელიც სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით შენდება. თბოელექტროსადგურის პირველი რიგის სიმძლავრემ 1,6 მილიონ კილოვატს მიაღწია.

„პოლანეცი“ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე თბოელექტროსადგურია. მისი მძლავრი ქვაბები და გენერატორები საბჭოთა საწარმოებში დამზადდა.

● კუბა

რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად

ჰავანა. წლის ბოლოსათვის, კუბის რევოლუციის 25 წლისთავისათვის გამოუშვან 60 ათასზე მეტი რადიომიმღები—ასეთი სოციალისტური ვალდებულება იკისრა დედაქალაქის რადიოქარხნის კოლექტივმა. სოციალისტური კუბის მრეწველობას ყველაზე ახალგაზრდა დარგის მეთაური საწარმოს შრომელები გახდნენ აგრეთვე იმის ინიციატორები, რომ გაიშალოს მოძრაობა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის დევიზით — „რადიოელექტრონიკა — მხოლოდ საუცხოო ხარისხის!“.

საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან წარმატებული თანამშრომლობის წყალობით კუბის რადიომრეწველობა ამჟამად მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას პორტატულ ტრანზისტორებზე, ხოლო „სიბონეის“ და „ახალგაზრდული — 80“-ის მარკის რადიომიმღებები უკვე ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყნის მაღაზიებში გამოჩნდა.

● მექსიკა

პრეზიდენტის გამოსვლა

მექსიკო. სხვადასხვა სოციალური სიტუაციის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპისადმი ქვეყნის ერთგულება დადასტურა მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე მან მექსიკის სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა დავისა და კონფლიქტების გადაჭრა მოლაპარაკების გზით. მექსიკა, განაცხადა მან, კვლავაც თანამიმდევრულად და მტკიცედ დაუჭერს მხარს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მსოფლიო ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილება.

მ. დე ლა მადრიდმა ხაზი გაუსვა, რომ უზარმაზარი მატერიალური რესურსები, რომლებიც გამაღლებული შეიარაღების ზრდისა და სამხედრო არსენალების გადიდებისათვის იხარჯება, შეიძლებოდა მოხმარებოდა მშვიდობიან მიზნებს — საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას და ქვეყნად შიმშილის, სიღატაკისა და სოციალური უსამართლობის აღმოფხვრას.

● ლიბია

გულისწყრომით დაგმო

ტრიპოლი. ლიბიის რევოლუციის ლიდერმა მ. კადაფიმ გულისწყრომით დაგმო შეერთებული შტატების იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა, ლიბანის, ნიკარაგუის, ჩადისა და ხალვადორის ხალხების მიმართ აგრესიისა და ტერორის პოლიტიკა.

ქალაქ ეს-სედადში გამოსვლისას მან თქვა, რომ დასავლეთის ქვეყნები ვაშინგტონის მეთაურობით ცდილობენ არაბებს თავს მოაბეჭონ თავიანთი ბატონობა. ამ მიზნით ნატოს სახელმწიფოებმა წამოიწყეს აგრესია ლიბანის წინააღმდეგ, მის ნაპირებთან ჩამოაყენეს საბრძოლო ხომალდების მთელი არმადა და გაიარაღეს საომარი მოქმედება ლიბანის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. იმპერიალისტური სახელმწიფოები უხეშად ერევიან ლიბანისა და ჩადის საშინაო საქმეებში, ემუქრებიან სირიასა და ლიბიას და აწყობენ ნამდვილ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ დამოუკიდებელი არაბი და აფრიკელი ხალხების წინააღმდეგ, აღნიშნა ლიბიის ხელმძღვანელმა.

მ. კადაფიმ არაბული ქვეყნების პროგრესულ ძალებს მოუწოდა გაეერთიანონ მეცადინეობა საერთო მტრის — ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ლიბია, ხაზი გაუსვა მან, კვლავაც გაიღაშქრებს ახლო აღმოსავლეთში იმპერიალიზმის, სიონიზმის და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ, იბრძოლებს მშვიდობის, თავისუფლების, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის.

● იაპონია

გაცრუებული იმედები

ტოკიო. იაპონიის მთავრობამ დაამტკიცა 1983 წლის დიპლომატიის „ცისფერი წიგნი“, რომელიც ამბობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანების განსაზღვრაში არსებულ წინააღმდეგობებსა და არათანმიმდევრულობას. საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ ყოველწლიურ დოკუმენტში დასახულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

„ცისფერ წიგნში“ ნათქვამია, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. მაგრამ, დოკუმენტის ავტორთა აზრით, ამის საფუძველი უნდა გახდეს იაპონის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დასავლეთის ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომლის აგრესიულმა მილიტარისტულმა კურსმაც სერიოზულად გაამწვავა დაძაბულობა მსოფლიოში.

„ცისფერმა წიგნმა“ აშკარად გაუცრუა იმედები იაპონელ მიმომხილველებს. საეჭვოა, იაპონიის დიპლომატია ნამდვილად უწყობდეს ხელს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას ისეთ პირობებში, როცა იგი სრულ ყოველმხრივ მხარდაჭერას უწევს რეიგანის ადმინისტრაციის კურსს, აღნიშნავს თავის კომენტარში კიოდო ცუსინის სააგენტო.

● საბერძნეთი

ვერ მორიგდნენ

ათენი. აქ გამართულ შეხვედრაზე „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრები კვლავ ვერ მორიგდნენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავების საკითხში. ეს საკითხი ჯერ კიდევ დაჯგუფების შექმნის დროიდან დგას, მაგრამ ვერა და ვერ დააყენეს საშველი.

მინისტრებმა შეძლეს მხოლოდ მიეღწიათ მორიგებისათვის, რომ რამდენადმე გაიზარდოს ნებართვების რიცხვი, რომლებიც სატვირთო ავტომობილებს უფლებას აძლევს შეუფერხებლად იმოგზაურონ „ათეულის“ ქვეყნებში. ახლა ასეთი უფლებით ისარგებლებს ქვეყანაში რეგისტრირებული სატვირთო ავტომობილების გაერთიანებათა 13 პროცენტი ადრინდელი 5 პროცენტის ნაცვლად.

შეხვედრაზე გამოვლინდა სერიოზული წინააღმდეგობანი ტრანსპორტის დაფინანსების გრძელვადიანი პროგრამის მიღების გამო.

ევროპული

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

თვეზე მეტია პაკისტანში გრძელდება „მოქალაქეობრივი უარობის“ კამპანია — მასობრივი სახალხო მოძრაობა რეპრესიული სამხედრო რეჟიმის გასაუქმებლად და დემოკრატიის აღსადგენად. მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სინდის პროვინციაში, რასაც ხელისუფლება მკაცრი ღონისძიებებით უპასუხებს. დაპატიმრებულთა რიცხვმა მარტო სინდში 10 ათასს გადააჭარბა, ასობით ადამიანი დაიხოცა და დაიჭრა, ყოველდღიურად ქვეყნის სხვადასხვა საპატიმროში ამათრახებენ ასობით პოლიტპატიმარს. როგორც პაკისტანის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა აბდულ ვალი ხანმა განაცხადა, ზია-ულ-ჰაკის სამხედრო რეჟიმი ვიულკანზე ზის.

მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ თუ აქამდე რეჟიმი ორ ბურჯს — ისლამსა და შეიარაღებულ ძალებს ეყრდნობოდა, დღეს პირველი მათგანი საგრძნობლად მორყა. მხოლოდ ერთადერთი ფუნდამენტური პარტია — „ჯამაათი- ისლამი“ უჭერს აშკარად მხარს ზია-ულ-ჰაკს. დანარჩენი რელიგიური ძალები დემოკრატიის დამყარებისათვის მოძრაობის მხარეზე არიან, რომელიც რვა აკრძალულ პოლიტიკურ პარტიას აერთიანებს. უკანასკნელ ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, მეორე ბურჯიც სულ უფრო სუსტდება. მღელვარებამ სამხედრო-საჰაერო ძალებიც მოიცვა, სადაც გაიფიცნენ სამხედრო-საჰაერო ძალების სამი ბაზის ოფიცრები. ზოგიერთი მათგანი დაუპატიმრეს. და ისინი სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარდგებიან.

ბოლო წლებში ვიულკანზე, რომელშაც მოქმედება დაიწყო, საშინაო პრობლემების გარდა ახალი „კრატერებიც“ გაჩნდა. გამოუცხადებელი ომი ავღანეთის წინააღმდეგ და ქვეყნის ჩაბმა ამერიკის სტრატეგიულ ზრახვებში.

მოძრაობის მოღვაწენი აკრიტიკებენ სამხედრო ხელისუფალთა პოლიტიკას ავღანეთის მიმართ, რეჟიმს აბრალებენ იმას, რომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის განგრძობით იგი იმპერიალიზმის რეაქციული ძალების წისქვილზე ასხამს წყალს. მეგობრული ერთიერთობის დამყარება მეზობელ ქვეყანასთან დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა.

ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც. ამას წინათ ქაბულში გაიმართა პაკისტანის დემოკრატიულ ძალებთან სოლიდარობის მრავალათასიანი მიტინგი. „ავღანეთისა და პაკისტანის ხალხები ისევე, როგორც ყველა ჰეშმარიტი მაჰმადიანი, მშვიდობიანად უნდა ცხოვრობდნენ“ — განაცხადა მიტინგზე სასულიერო წრეების წარმომადგენელმა შეიხმა მუჰამედ ხასან აშრაფიმ. მან მოითხოვა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევის დაუყოვნებლივი შეწყვეტა, პაკისტანის მმართველი წრეების მხარდაჭერით საერთაშორისო რეაქციის ძალები რომ ახორციელებენ.

იმისათვის, რომ შეინელონ პაკისტანში დემოკრატიის დამყარებისათვის მზარდი მოძრაობა, გადამდგარი პოლკოვნიკი ზაჰირ ალი ხანი სასწრაფოდ აკოწიწებს ულტრარეაქციულ „მოძრაობას ზია-ულ-ჰაკის მხარდასაჭერად“. მაგრამ მთავარ იმედს ზია-ულ-ჰაკი მაინც ოკეანისგაღმელ „დემოკრატიის ქომაგებზე“ ამყარებს. ძია სემიც ვალში არ რჩება. მან პაკისტანს 3,2 მილიარდი „სესხი“ მისცა შეიარაღებული ძალების მოდერნიზებისათვის. როცა გენერალი ზია მრავალრიცხოვან ინტერვიუებსა და საჯარო გამოსვლებში ირწმუნებოდა, პაკისტანი არ აპირებს ამერიკის შეერთებულ შტატებს თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები დაუთმოსო, თეთრ სახლსა და პენტაგონში მხოლოდ ეღიმებოდათ, ხოლო ამერიკის პრესაში სხვადასხვა რანგის მოღვაწენი აშკარად წერდნენ, ეს მხოლოდ დროის საკითხიაო.

როცა გენერალმა ზიამ იგრძნო, რომ მის ქვეშ ვიულკანი ამოქმედდა, გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ისლამაბადმა თვითონ შესთავაზა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავის ტერიტორიაზე არსებული ბაზები და სამხედრო ობიექტები სტრატეგიული და ქიმიური იარაღის შესანახად გამოყენებინა. სიდღუმლო მორიგებას ამ საკითხზე, როგორც პრესა იუწყება, მიიღწიე პენტაგონის ორ თვალსაჩინო მოღვაწესთან მოლაპარაკებისას, რომლებიც ამ დღეებში პაკისტანში იმყოფებოდნენ. როგორც ინდოეთის გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი“ შეშფოთებით წერს, ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ მოწმობს პაკისტანის ჩაბმას რეგიონალური სამხედრო თანამშრომლობის ახალ სისტემაში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები, და შესაძლოა ნატოც, აკოწიწებს, რაც გააუარესებს ვითარებას რეგიონში.

გამოაცხადა რა პაკისტანი ფრონტისპირა სახელმწიფოდ და „თავისი საარსებო ინტერესების სფეროდ“, შეერთებული შტატები „ჩრდილოეთიდან საფრთხის“ გაცვეთილი საბაბით იმედოვნებს, ეს ქვეყანა გამოიყენოს როგორც ტრამპლინი „სწრაფი მოქმედების ძალებისათვის“, ხოლო მისი ინგლისურენოვანი არმია — როგორც პოლიციური ძალები რეგიონში. ეს მეზობელ ქვეყნებში კანონიერ შეშფოთებას და თვით პაკისტანში პროტესტს იწვევს.

პაკისტანელები თანდათანობით გონს ეგებიან. მკაცრი ცენზურის პირობებშიც კი რავალპინდში გამომავალი გაზეთი „ჰაიდერი“ მოითხოვს ბოლო მოეღოს გამოუცხადებელ ომს ავღანეთის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დისკრედიტაციას საერთაშორისო ასპარეზზე. პაკისტანის მთავრობამ აშკარად უნდა განაცხადოს, რომ იგი არ მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების კონფრონტაციას პოლიტიკაში, — წერს გაზეთი სარედაქციო სტატიაში, — შეერთებული შტატები გამოგონილ „საბჭოთა საფრთხეს“ მხოლოდ იმ მიზნით იყენებს, რომ ხელი შეუშალოს შშვიდობის მოძრაობას მთელ მსოფლიოში“.

ოფიციალური ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ პაკისტანში დემოკრატიის დამყარებისათვის მასობრივ მოძრაობას ამჯერად შედეგად არ მოჰყვება სამხედრო რეჟიმის დამხობა. მაგრამ 86-მილიონიან ქვეყანაში სეისმური ვითარება დღითი დღე მწვავდება.

ახალი ამბების ხაადგენტოს მასალების მიხედვით.

ათასწლეულის საიდუმლო ამოხსნილია

ლონდონი. ამოიხსნა ერთ-ერთი ისტორიული საიდუმლოება, რომელიც რამდენიმე წელიწადს აღელვებდა მეცნიერებს. როგორც გაზეთი „სანდი ტაიმსი“ იუწყება, პორტრეტული რეკონსტრუქციის შედეგად შესაძლებელი გახდა ათასწლეულების შემდეგ ფილიპე მეორის — ალექსანდრე მაკედონელის მამის სახის აღდგენა.

მას შემდეგ, რაც 1977 წელს პროფესორმა მანოლის ანდრონიკოსმა ჩრდილოეთ საბერძნეთში დაბა ვერგინის გათხრებისას უმდიდრესი სამეფო აკლდამა აღმოაჩინა, სამეცნიერო წრეებში დავა არ შეწყვეტილა. ერთნი იზიარებდნენ პროფესორის აზრს, რომ ნაპოვნი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 336 წელს მოკლული ფილიპე მეორის სამარხი, ზოგნი კი მას ალექსანდრეს ერთ-ერთი მემკვიდრის სამარხად თვლიდნენ.

ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლდა, როცა სამმა ინგლისელმა მეცნიერმა არქეოლოგთა XXII საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს წარუდგინა ძველი მაკედონის მეფის ცვილის ბიუსტი. პორტრეტულმა რეკონსტრუქციამ სრულიად სარწმუნოდ და დეტალურად აღადგინა მისი გარეგნული იერი—მეომრის მკაცრი სახე, რომლის მარჯვენა ნაწილი ღრმა ნაიარევით არის დაფარული. სწორედ ეს ნაიარევი გახდა მთავარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ სამარხში ალექსანდრე მაკედონელის მამა იყო დაკრძალული. ძველ ისტორიკოსთა ცნობით, ფილიპე მეორე სახეში ისრით დაჭრეს მეტონის ალყის დროს 354 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

შემოთხვევა

რა ხდება პაკისტანში?

როცა დედები სამუშაოზე არიან

„ბადლობა დეიდა კრეიჩოვას იმ ზრუნვისა და საყვარულისათვის, ბავშვებისადმი რომ გამოიჩინა“.

პანი იაროსლავა კრეიჩოვა ორმოცი წლისაა, ორი მოზრდილი შვილი ჰყავს და ქალაქ კლადნოს — ჩეხეთის მსხვილი სამრეწველო ცენტრის, მეშახტეთა და მეტალურგთა ქალაქის ერთ-ერთ ახალ რაიონში კოხტა, მყუდრო სახლში ცხოვრობს: ზემომოყვანილი სამადლობელი სიტყვები სამი წლის მარტინის მშობლების ბარათიდან არის ამოღებული. ამ ბარათს სიამოვნებით მოაწერდნენ ხელს იტკის, მატეის, ირკის და სხვა ამ ბავშვთა მშობლებიც, რომლებისთვისაც რამდენიმე წლის განმავლობაში პანი კრეიჩოვა მეორე დედა გახლდათ. იგი მიკრობაგის აღმზრდელია.

იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენს ეს სკოლამდელი ბავშვთა დაწესებულება ერთიდან სამ წლამდე ყმაწვილებისათვის, ქალაქის უდიდეს საწარმოს — მარშალ კონევის სახელობის ფოლადჩამოსასხმელ კომბინატს „პოლდის“ ვეხეტუმრე.

—„პოლდი“ საწარმო-გიგანტია, — ამბობს კომბინატის სოციალურ-საყოფაცხოვრებო განყოფილების თანამშრომელი დიმარ ელენეკა, — კომბინატში ბევრი ქალი მუშაობს, უმრავლესობას მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. მათთვის აგებულია ორი ბაგა და ოთხი სასავშვო ბაღი, სადაც ხუთასი გოგონა და ბიჭუნა იზრდება. სამოცდაათიანი წლების შუახანებში, როცა ჩეხოსლოვაკიაში მკვეთრად გაიზარდა შობადობა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ნაკლებობა იგრძნობოდა, პრესაში გამოჩნდა ცნობები შუა ჩეხეთის ოლქის ქალაქ კუტნა-გორაში საინტერესო ექსპერიმენტის შესახებ. 1975 წელს იქ დაიწყეს ეგრეთ წოდებული მიკრობაგების შექმნა. ჩვეულებრივ ქალაქურ ბინაში ყველა პირობას ქმნიდნენ იმისათვის, რომ იქ ბინის დიასახლისის მეთვალყურეობით შეძლებოდა ყოფნა 5-6 ბავშვს.

მოდით, გავეცნოთ, როგორ არის უზრუნველყოფილი მიკრობაგების მუშაობა.

— ბინების დიასახლისებთან, რომლებიც ერთდროულად ძიძებისა და აღმზრდელების მოვალეობას ასრულებენ, საწარმო აფორმებს ხელშეკრულებას სულ ცოტა ხუთი წლით, — გვიამბობს დიმარ ელენეკა, — „პოლდი“ კისრულობს წყლის, გაზის, ტელეფონისა და ელექტროენერგიის ხარჯების ნაწილს, აგრეთვე ბაგად გამოყოფილი ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრში იხდის 26 კრონს. კომბინატი ყიდულობს საბავშვო ავეჯს, ჭურჭელს, სათამაშოებს, ტანსაცმელს — ეროვნული სიტყვით, ყველაფერს, რაც საჭიროა ჩვეულებრივი საბავშვო დაწესებულებისათვის. დიასახლისი-აღმზრდელის მოვალეობაში შედის საჭმლის მომზადება, დალაგება, ბავშვებთან მეცადინეობა. პროდუქტების შესყიდვასა და მიტანაში დიასახლისს კომბინატი ეხმარება. მიკრობაგისათვის მშობლები იმავე საფასურს იხდიან, რასაც ჩვეულებრივ საბავშვო დაწესებულებაში მიბარებული ბავშვისათვის — დღეში 8 კრონს, 1,5 კრონს კი უმატებს საქარხნო პროფკავშირი. ბავშვებს ყოველდღე ნახულობს ექიმი, იგი, თვალყურს ადევნებს აგრეთვე მენიუს შედგენას.

აღმზრდელები „პოლდის“ შტატის მუშაკები ხდებიან და საწარმო მათ ყოველთვიურად 1700-2100 კრონს უხდის იმის მიხედვით, თუ რამდენი ბავშვი ჰყავს მოსავლელად და აღსაზრდელად მიჩენილი.

ამავე დროს მიკრობაგის ყველა აღმზრდელი სპეციალურ პედაგოგიურ მომზადებას გადის. მათთვის ეწყობა სემინარები, სადაც იძენენ ბავშვებთან მუშაობისათვის საჭირო ცოდნას. ამაზე საქარხნო პროფკომიტეტი ზრუნავს.

კლადნოში მოწყობილი მიკრობაგები ფართოდ გავრცელდა მთელ ჩეხოსლოვაკიაში.

კმაყოფილი არიან მშობლები, კმაყოფილი არიან ბავშვებიც, ეს კი, საბოლოო ანგარიშით, ხელს აძლევს საწარმოს.

ადელა კრატენოვა,
ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი.

გამოცდა

ინსტიტუტის დამთავრებისშემდეგ სტაჟირებას ერთ პატარა დაწესებულებაში გავდიოდი. და აი, როგორღაც ჩემი პრაქტიკის დასასრულს უფროსმა გამომიძახა.

— მინდოდა თქვენგან გამეგო, რატომ არ იყო დღეს სამუშაოზე დანდარი?

— თქვენ მხედველობაში გაქვთ... ჩვენი დანდარი? — შეეკითხენ, დრო რომ მომეგო. (საქმე ის არის, რომ დანდარი დილით სანადიროდ წავიდა და მთხოვა, კრინტი არ დამეძრა).

— დიახ, დიახ, სწორედ ის, თქვენი განყოფილების მუშაკი.

— როგორ თუ არ იყო, ეს-ეს არის ვნახე. ამხანაგო უფროსო, გინდათ გითხრათ, მისი ერთადერთი ნაკლი?

— კი, რა თქმა უნდა.

— ის ისეთი კაცია, რომლისთვისაც სამუშაო ყველაფერია. საკუთარ თავზე კი არ ფიქრობს.

— აბა, გეყოფა! ჩემთვის ცნობილია, რომ დანდარი სამუშაოზე არ ყოფილა. ჯერ ის მინდა გავიგო, თუ სად გიპარა ის უქნარა, და მერე კი თქვენს შესახებ აზრი შევიქმნა. ახალგაზრდა სპეციალისტი ხართ, ვისურვებდი ჩვენს დაწესებულებაში გემუშავათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, როგორც ყველა უფროსს, მეც პატიოსანი ხალხი მჭირდება. ასე რომ, სწორ პასუხს ველი.

— არ გჯერათ ჩემი, — ვთქვი ნაწყენი ხმით, — ნამდვილად იყო დანდარი სამუშაოზე.

— უკანასკნელად გეკითხებით, სად არის-მეთქი დანდარი?

— როგორც ჩანს, კარგად არ გცოდნიათ თქვენი ხელქვეითები. ალბათ, უფრო სარწმუნოა მზე არ ამოვიდეს ცაზე, ვიდრე დანდარი სამუშაოზე არ გამოცხადდეს.

უფროსმა თვალები დამიბრიალა:

— მძულს უსინდისო მატყუარები! — დაიყვირა მან, მერე განრისხებული მომიახლოვდა და საყელოში მწვდა. შიშისაგან გულწასულმა ჩავიკეცე.

როდესაც გონს მოვედგი, უფროსი სახეზე წყალს მასხურებდა. თითქოს ჯურღმულიდან მოაღწია ჩემამდე მისმა ხმამ:

— მომიტევე, ძამიკო, თავი ვერ შევიკავე. მაგრამ თვითონვე ხართ დამნაშავე. ხომ ვიცი, რომ დანდარმა სამუშაო გააცდინა. მაშ, მითხარი, სად არის იგი?

მე წავილუღლუღე:

— იყო სა...მუ...შაო...ზე.

უფროსმა ღრმად ამოისუნთქა და ტელეფონით ვიღაც გამოიძახა.

დანდარი შემოვიდა. თვალით ვანაშნე, რომ არ გამიცია. მან მხარზე ხელი დამადო:

— მაპატიე, სანადიროდ არ წავსულვარ, მხოლოდ შენი შემოწმება მინდოდა.

ვცადე წამოდგომა, მაგრამ ვერ შევძელი. ორივე მომეხმარა წამოდგომაში.

— მომლოცავს, — მითხრა უფროსმა, — გამოცდა ფრიადზე ჩაბარე, ახლა უკვე ნათელია, რომ ჩვენი კაცი ხარ. ერთი სიტყვით, ყოჩაღ! გრიცხავ შტატში. აი ჩემი პირველი დავალება: დანდართან ერთად სანადიროდ მივდივარ, სამი დღითა. აბა, შენ იცი, არავისთან კრინტი არ დაგცდეს!

«აჯანყებული» სპილოები

კოლომბო. ამ ბოლო ხანს შრი ლანკის გაზეთებში სულ უფრო ხშირად ქვეყნდება ცნობები გარეული სპილოების სოფლებზე თავდასხმის შესახებ.

ხოროვუპოტანის, ვანადიპილამისა და ანდიაგალის რაიონებში აგრესიულმა ცხოველებმა ათობით გლეხის სახლი დაანგრიეს, შეუპამეს მარცვლეულის მთელი მარაგი, ძირამდე ამოწრუპეს სოფლის ჭები. მათი თავდასხმების შედეგად არის მსხვერპლიც. ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები ისეა დაშინებული, რომ გარეული სპილო „ბოროტ სულად“ მიაჩნია.

რამ გამოიწვია ამ თვინიერი ცხოველების ასეთი მოულოდნელი „ჯანყი“? მეცნიერთა აზრით, მათი აგრესიული ქცევა განაპირობა გვალვამ, რომელმაც შრი ლანკის ბევრი რაიონი მოიცვა. მრავალი წყალსატევი დაშრა, დაიწყო სპილოების შიმშილობა და ისინი იძულებული გახდნენ წყალი და სურსათი გლეხებისათვის „წაერთმიათ“.

ტექნიკის სიახლენი

მზის ენერგია ... ჩემოდანში

ტოკიო. იაპონიის ერთ-ერთმა ფირმამ შექმნა მზის ელექტროგენერატორი, რომლის სიმძლავრეა 5 ვატი და მოთავსებულია 35X32 სანტიმეტრი ზომის ჩემოდანში. იგი შედგება 20 მზის ელემენტისაგან, რომლებიც დამაგრებულია ჩემოდნის სახურავის შიდა მხარეს. საკმარისია გახსნათ ჩემოდანი და მისი შიგნითა მხარე მზეს მიუშვიროთ, რომ გენერატორი დაიწყებს ელექტროდენის გამომუშავებას, რომლის გამოყენება შეიძლება საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ელექტროკვებისათვის.

მსოფლიოში უმცირესი...

ავსტრია. მსოფლიოში უმცირესი საკულინარო წიგნი წარუდგინეს რესტორან „მარხფელდერ-ჰოფის“ კლიენტებს ვენის რაიონში. 28X21 მილიმეტრი ზომის წიგნში 186 გვერდზე დაბეჭდილია ვენური სამზარეულოს სხვადასხვაგვარი კერძების დამზადების 100 რეცეპტი. ამ უჩვეულო წიგნს, რომელიც მეორე მხოფლიო ომის დროს დაკარგული იყო, მალე შეიტანენ ცნობილ „გინესის რეკორდების წიგნში“.

იუპი-საკლესიის ფოტო.

„ქვეყანაზე ხუმარა პრეზიდენტი...“

• **საშინაო** და საგარეო პოლიტიკის სარბიელზე აღიარება რომ ვერ მოიპოვა, რონალდ რეიგანმა პრეზიდენტობის ბოლოსწინა წელს მაინც მოიპოვა ომის უფლება, რომ „ჯ. კენედის დროიდან ყველაზე ხუმარა პრეზიდენტს უწოდებდნენ“ როგორც მას ამერიკულმა ჟურნალმა „ტაიმმა“ დაარქვა. „პოლიტიკური იუმორი ახლა უკვე სასაცილო საქმე არ არის“, — წერს ჟურნალი.

ქვალფიციერ ხუმარას ვაშინგტონში ბევრად უადვილდება ქარიერის საფეხურებზე ასვლა. რეიგანს „ანგლობის დარგში“ ნამდვილად უმაგალითო გამოცდილება აქვს. კალიმბურების შეთხზვა მან ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ისწავლა ჰოლივუდში. მას შემდეგ ხუმრობს და ხუმრობს. თავის ანეკდოტებს დიდხანს ხვეწდა: ჯერ კიდევ მაშინ, კალიფორნიის გუბერნატორობისათვის რომ იბრძოდა, პრეზიდენტობისაკენ რომ მიძვრებოდა და, ბოლოს, როგორც იქნა, გაძვრა კიდეც.

პრეზიდეტი რომ გახდა, რეიგანი სულაც არ დასერიოზებულა: „კოზირებს“ იოლად არ ელევინ. მაგრამ აი, რა არის ნიშანდობლივი. მისი სტანდარტული იუმორი, როგორც პრესა აღნიშნავს, სულ უფრო ბეზრდებათ ამერიკელებს, ხოლო მისი აგდებული მიდგომა არცთუ სახუმარო საკითხებისადმი, სულ უფრო მზაოდ შეშფოთებას იწვევს. ერთი საქმეა თავის თავის გაქილიკება (როგორც ურჩევს რეიგანის ხუმრობათა წამყვანი შემთხზველი ლენდონ პარვინი), და სულ სხვაა სალი აზრის აბუჩად აგდება.

სწორედ ამ უკანასკნელს ვერ ელევა პრეზიდენტი.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 მილიონზე მეტი უმუშევარია, — „განგაშით აცხადებენ სტატისტიკოსები“. მოდით, შემოვიღოთ გადასახადი უმუშევრობისათვის დახმარებაზე“, — ხუმრობს რეიგანი.

„არ დავუშვათ კოსმოსში ბირთვული იარაღის განლაგება“, — მოითხოვს მსოფლიო საზოგადოებრიობა. „ენა ექავებათ“, — ქირქილებს პრეზიდენტი.

„ბოლოს და ბოლოს დაიწყეთ ეფექტიანი მოლაპარაკება რუსებთან!“ — მოუწოდებენ რეიგანს მისი დასავლეთევროპელი პარტნიორებიც კი. „ჯვაროსნებს ურჯულოებთან მოლაპარაკება საერთოდ არ ჰქონიათ!“ — გაისმის თეთრი სახლიდან.

„ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები ტეროროს ატეხენ თავს ბეირუთის მშვიდობიან მცხოვრებლებს“, — აბრელებულია გაზეთები ასეთი სათაურებით. „იქ ჩვენი საარსებო ინტერესების საზღვარი გადის“, — თავზეხედურად ხუმრობს პრეზიდენტი.

„სამხრეთ კორეის თვითმფრინავის ფრენა, რომელმაც უზეშად დაარღვია საბჭოთა კავშირის საზღვრები, აღიკვეთა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად“, — დაასკვნიან ყველგან სპეციალისტები. „საბჭოთა კავშირი თვითნებურად აცხადებს საზღვრებს საჰაერო სივრცეში“, — ვარჯიშობს უკბილო ი

კომუნისტი

საკვლევი საკითხავი

საქართველო რუსულ ფოლკლორში

რუსი მკითხველი საზოგადოებრიობა გეორგიევსკის ტოკატის დადებამდე იცნობდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. დამადასტურებელ საბუთებს თვითონ რუსული ფოლკლორისტიკის წყაროებში ვპოულობთ.

რუსული ფოლკლორის ერთი პირველი მკვლევართაგანი მ. ი. მაკაროვი XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართული ეპოსის რუსულზე გავლენის შესაძლებლობას აღიარებდა და კონკრეტულ მაგალითსაც ასახელებდა: „იმერელი ბატონის“ ზემოქმედებით შექმნილია რუსული ზღაპარი „ხელმწიფის შვილ სილას შესახებო“. იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ 1773 წელს ქართული ეხიდან რუსულად ითარგმნა ზღაპარი ხელმწიფის შვილის შესახებ, (ჟურ. „ტელესკოპი“, 1833, ტ. 21).

XIX საუკუნის 30-იან წლებში შედგა „ჩვენს დროში ცოტად თუ ბევრად ცხობილი რუსული ზღაპრების კატალოგი“. სლავური, თათრული, თურქული, არაბული, ბერძნული, ფრანგული და პოლონური ხალხური მოთხრობების გვერდით აქ აღრიცხულია ქართული ენიდან თარგმნილი ძეგლები. ეი ისინი: „მეტად საკვირველ და ლამაზ თვითდამკვრელ ბარბითთა შესახებ“, „უფლისწული ხოროზანი ხოროზაევიჩი“, „ივერიის მეფის ასული დინარა დედოფალი და სხვ“.

1961 წელს გამოქვეყნდა მოზრდილი კრებული „რუსული ზღაპრები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩანაწერებსა და პუბლიკაციებში“. წიგნის შემდგენელი, შესავლის ავტორი და კომენტატორია პროფესორი ნ. ნოვიკოვი.

აღნიშნული კრებულის გამოცემა ზღაპარმცოდნეობაში ბევრ საყურადღებო საკითხს აღძრავს. იგი ხელს შეუწყობს ისეთი სპეციალური პრობლემის დამუშავებას, როგორიც არის პუშკინის ფოლკლორთან დამოკიდებულება, მისი პოეზიის ხალხურ-პოეტური წყაროები. შენიშვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საჭიროა ცალკე გამოიცეს ფოლკლორული მასალები, რომელთა შერჩება ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, ალ. ყაზბეგის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველის სახელებთან არის დაკავშირებული და დღემდე მკითხველს მათი ცალ-ცალკე ხელში აღების საშუალება არა აქვს.

ირკვევა, რუს ხალხს, მის სახელოვან შვილებს — სახალხო შემსრულებლებსა და მთქმელებს, აგრეთვე ფართო მასების მხატვრული სიტყვიერების მოყვარულებსა და შემკრებთ მაღალი წარმოდგენა შეუმუშავებიათ ქართველთა სამეფოზე, ამ ქვეყნის მმართველებსა და ხალხზე, რიგითს ადამიანებზე.

თუ რას მოუთხრობდნენ ჩრდილოელი თქმულები საქართველოზე, ამის პასუხს ვიპოვით ნოვიკოვის კრებულის ერთ-ერთ მოთხრობაში „ზღაპარი დიდებულ და საკვირველ გმირ სამპსონ ლუკაანოვიჩსა და მეფის ასულ სულისლავას შესახებ“. ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა 1820 წელს. სიუჟეტურად იგი რთული შედგენილობისაა, სიუჟეტთა საერთაშორისო აარნესეულ სქემებელში მას რამდენიმე ნომერი შეესატყვისება. ძირითადი იდეა, მზეთუნახავის მოპოვებაა. ამნაირი მშვენიერი სარძლო ქართველთა მეფის ასული სულისლავა აღმოჩნდა, რომლის მონახვისათვის, საგმირო ზღაპრების სტილით, არაერთი მძიმე დავალების შესრულება და დაბრკოლების გადალახვა შეიქნა აუცილებელი.

ბოიარინი ლუკა პანტელეის ძე და მისი მეუღლე მართა უშვილონი იყვნენ. სიბერის ჟამს მაინ ლოცვა შესმენილ იქნა და ვაჟი სამპსონი შეეძინათ. 12 წლის სამპსონი „ვისაც ხელში ხელს წაავლებდა — მას ხელს აგლეჯდა, ვისაც ფეხში — მას ფეხს აგლეჯდა, ვის თავსაც შეეხებოდა — მისი დაუდგრამელი თავი მიწაზე გორავდა“. შეძრწუნებულმა ბოიარებმა მეფესთან იჩივლეს, უკანასკნელმა დოკუმენტი გადაკარგვა ბრძანა. შეჯდა სამპსონი ბუმბერაზ ბეღაურზე და არაბთა მეფე სელიმს ეწვია. სელიმი გმირს სემიგალის ხელმწიფის ასულის დარიას მოყვანას დაავალებს. სამპსონი მოიტაცებს ქალს და არაბთა ხელმწიფეს მიჰგვრის.

„მე რა ლამაზი და მშვენიერი ვარ, — ეტყვის დარია მისი მშვენიერებით მოხიბლულ ჯაბუკს, — ლამაზი და მშვენიერი, ჩემი მშობლების თქმით, საქართველოს ხელმწიფის გურგულის ასული, სახელოვანი სუდისლავა არის, მისგარ ლამაზი ქვეყანაზე არავინაა“. დაემშვიდობა სამპსონი არაბთა მეფე-დედოფალს და გასწია „წყნარი ზღვებისა და თბილი წყლების იქითა მხარეს, საქართველოს სამეფოსაკენ“, რათა სახელოვანი მეფის გურგულის ასული საცოლედ გამოითხოვოს. 40 კვირას იარა გოლიათმა. 20 ვერსზე საქართველოს საზღვრამდე დიდძალ ლაშქარს წააწყდა. თურმე ეს ჯარი ქართველთა მეფის — გურგულისაა, სარდლობს ერისთავი სივოლი და ახლა მოლდავეთისკენ მიემართებიან, რათა პასუხი გასცენ იმ ქვეყნის ხელმწიფეს, რადგან გურგულ მეფის ასულის მოტაცება განუზრახავს. სამპსონი შეუერთდა ქართველთა ლაშქარს. 20 დღის შემდეგ მოლდავეთამდე 200 კილომეტრზე მათ წინ შემოეყარა ბოლდავთა მეფის დუნდუკის დიდძალი ლაშქარი, რომელიც საქართველოს ასაკლებად მოიჩქაროდა. დუნდუკი სიმაღლით ოთხ არშინნახევარი იყო, თავი სალუდე ქვაბის ოდენა ჰქონდა. სამპსონი ორთაბრძოლაში დაამარცხებს მას.

ქართველი მოლაშქრენი დროვლიანთა ბოიარის შვილს თავიანთ ქვეყანაში იწვევენ. 40 დღე დასჭირდა მეფე გურგულის თეთრი ქვის სასახლეებამდე მოსვლას. ერისთავმა უებრო ჭაბუკი მეფეს წარუდგინა. „საიდან ხარ“? — ჰკითხა გურგულ მეფემ. „დრეკლიანთა სამეფოდან, ბოიარ ლუკიან პანტელეის შვილი“. მეფეს მოეწონა ჭაბუკი ბოიარინი, თავის შვილიერ ასულზე დააქორწინა და მზითვად სახელმწიფო დაუთმო.

მოთხრობაში იგრძნობა, რომ სახალხო თქმულის წარმოდგენით საქართველო ძლიერი და მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც გამჭრიახი და მამაცი მეფეები მართავენ; აქ არიან საარაკო სიმშვენიერის და ჭაბუკთა გულის დამატყვევებელი ასულები. საქართველო საოცნებო მხარეა. მისკენ მოისწრაფიან შორეულ კუთხეებიდან, არაბეთიდან მოლდავეთამდე.

საკითხავია, ხომ არ არის ასახული მონათხრობში რომელიმე ისტორიული მოვლენა? როგორია გმირთა სახეები, წმინდა რუსული თუ ქართული?

ცხადია, ამ ჟანრის ნაწარმოებებში ძნელად გასარჩევია ნამდვილი ფანტასტიკურისგან, ისტორიული მითოსურისგან. მოთხრობაში, ვფიქრობთ, მაინც შეიჩნევა შორეული ისტორიული და გეოგრაფიული რემინისცენციები, ამნაირ მოვლენად მიგვაჩნია დრეკლიანთა ჭაბუკ ბოიარინის ქართველთა მეფის ასულ სუდისლავაზე დაქორწინება. ზოგადად ეს თამარ მეფის ქორწილს გვაგონებს. მეფე „გურგულის“ სახელი შეიძლება გორგასალზე მიუთითებდეს, ხოლო მშვენიერი სუდისლავისი კი რუსუდანზე.

თამარ მეფის სახე რუსულ ლიტერატურასა და ფოლკლორში სხვა ადრინდელი ძეგლების მიხედვითაც არის ცნობილი, კერძოდ, დინარა ივერთა დედოფლის თქმულების სახით.

თამარ მეფე პოპულარულია რუსულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში. ზოგჯერ იგი საკუთარი სახელით ფიგურირებს, ზოგჯერ კი შეფარვით სხვა შემცველი პერსონაჟების სახით გვევლინება. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება სუდისლავა და დინარა დედოფლები. პირველი ზემოთ გავიხილეთ, ახლა დინარას თავგადასავალს გავეცნოთ.

ივერიის დედოფალ დინარას თქმულება გავრცელებულ ნაწარმოებთა წყებას მიეკუთვნება, მისი პოპულარობა უმთავრესად XV-XVIII საუკუნეებით იფარგლება და რამდენიმე ხელნაწერი და გამოცემა არსებობს. თქმულებას მკვლევართა ყურადღება არ მოუკლია — არც რუსეთში და არც საქართველოში. მარი ბროსეს, ალ. პიპინის, ალ. სობოლევსკისა და მ. სპერანსკის სპეციალურ ძიებებს ემატება ქართველ მეცნიერთა დაკვირვებანი პროფესორების ი. ცინცაძის, ვ. ზაღურის, თ. ბუაჩიძის ნაშრომების სახით. XIX საუკუნის დასაწყისიდან დედოფალ დინარას თავგადასავალს ზღაპრად მიიჩნევდნენ და ამგვარად არის დასახელებული 1833 წელს ჟურნალ „ტელესკოპში“. რუსული ზღაპრების ბიბლიოგრაფის აზრით, თხზულება რუსულ მწერლობაში შესული ქართული ზღაპარია.

„XVII საუკუნის სხვადასხვა პირთა სწრაფი ხელით ნაწერ რვეულში, რომელიც ეკუთვნის გრაფ თ. ა. ტოლსტოის ყოფილ ბიბლიოთეკას, შესულია აგრეთვე საქართველოში ცნობილი მოთხრობა „ივერიის მეფის ასულ დედოფალ დინარაზე“. მოთხრობას თან ახლავს ეპითეტი: „სულის დიდად მარგებელი“. ეს ცნობა დაბეჭდილია მაკაროვის ნარკვევის ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება: „ქართული ზღაპრები“.

დინარას ისტორიზებული თქმულება მოზრდილი თხზულებაა. სრული შინაარსის გადმოცემა აქ შეუძლებელია. აღექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი 15 წლის ასული გამეფდა. გაიგო თუ არა სპარსეთის მეფე ადრამელეხმა დინარას გამეფება, განიზრახა ივერიის ხელში ჩაგდება, დედოფალ დინარას წაუვანა და ივერიაში ქრისტიანობის აღმოფხვრა. სპარსეთის მეფემ ელჩების პირით მუქარა შემოთვალა და მორჩილება მოითხოვა. ივერიელთა დედოფალი მუქარამ ერთ მსგავს თქმულებას რუს მთქმელებამდე თუ ელჩებამდე მიეღწიოს, შემდეგ კი დინარა დედოფლის თავგადასავალში ეპოვოს ასახვა.

რუს მკვლევარს მ. მაკაროვს 1833 წელს ჟურნალ „ტელესკოპში“ აღნიშნული აქვს, რომ „ქართული ზღაპრის („იმერელი ბატონი“) გავლენით შეექმნა რუსული ზღაპარი ხელმწიფის შვილ სილოს შესახებ. „იმერელი ბატონის“ თუ „ხელმწიფის შვილის“ სახელწოდების ქართულ ზღაპარს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, ხოლო რაც შეეხება რუსულ მოთხრობას, იგი ის ხალხური ნაწარმოები უნდა იყოს, რომლის სათაურია: „ზღაპარი სილო—ხელმწიფის შვილსა და ივაშკა — თეთრხალათიანზე“. პროზაში სილოს ზღაპარი ვარიანტთა სიმრავლით არ გამოირჩევა, პირველად გამოქვეყნდა 1786 წელს. ამჟამად ვსარგებლობ იმ ტექსტით, რომელიც შესულია ნ. ნოვიკოვის მიერ შედგენილ მეორე კრებულში: „რუსული ზღაპრები ადრინდელ ჩანაწერებსა და პუბლიკაციებში (XVI-XVIII საუკუნეები).

რუსული მოთხრობა სტრუქტურულად იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც „მადლიერი მკვდრის“ ციკლის სახელით არის ცნობილი. გავრცელებით ფართო გეოგრაფიულ არეს და ენობრივ არეალს მოიცავს. გერმანული გრიმების კრებულის გარდა მას იცნობს რუსული და უკრაინული ფოლკლორი. საქართველო სიუჟეტის დამუშავებაში გულუხვობას იჩენს.

ზღაპრის ზნეობრივ-ფილოსოფიურ იდეას სიკეთისათვის სიკეთის გადახდა წარმოადგენს. ამბავი მცირეოდენი განსხვავებით ორივე ენაზე ერთნაირია, მხოლოდ საერთო ფუნქციათა შემსრულებელი პერსონაჟები სხვადასხვა. სიუჟეტურ-სტრუქტურული ანალიზის ბოლომდე ჩვენება შეუძლებელია, აღვნიშნოთ რამდენიმე თანხვედრილობა.

1. რუსული ზღაპარი სამი ძმა ხელმწიფის შვილების კონსტატირებით იწყება, ქართულშიც ხელმწიფეს სამი (ან ერთი) ვაჟი ჰყავს; ხელმწიფის სიუჟეტური დატვირთვა ქართულ მოთხრობაში ზოგჯერ სოვდაგარზე ან მდიდარ კაცზე გადაინაცვლებს.

2. სილო-ხელმწიფის შვილი ზღვაზე მოტივტივე კუბოს იპოვის და ქარიშხლისგან უცნობ ხმელეთზე გარიყული „მიცვალებულს“ ჩვეულებისამებრ მიწას მიაბარებს. კუბოში ერისის მიმდევარი კაცი ყოფილა ჩაკეტილი და სილომ იგი მარადიული სასჯელისაგან იხსნა, ესე იგი „აღდგომის“ საშუალება მისცა. ქართულ ფოლკლორშიც უსამართლოდ დასჯის ფაქტთან გვაქვს საქმე, მაგრამ სხვაგვარი მოტივაციით. სოვდაგრის შვილი ნახავს, რომ ერთ ადგილას ორი კაცი მკვდარს გამეტებით სცემს. რადგან სიცოცხლეში აღებული ოცი თუმნის ვალი გაჰყოლია.

3. სასჯელისაგან დახსნილი ივაშკა-თეთრხალათიანი უცნობ კეთილსაყოფელს უცხადებს: „მინდა ვიყო შენი მარად ერთგული მსახური და დაგიხმარო ყოველგვარ გასაჭირში“. სილომ შემთთავაზებული პატივი მიიღო და მას მსახურ-მეგზურობა დაკისრა. იმერული ზღაპრის მიხედვით სოვდაგრის უმცროს ვაჟს, რომელმაც მეგალეებისაგან უცნობი მკვდარი იხსნა, მექარავნე ვაჭრებთან მოგზაურობის დროს ერთი ცალუკარა არაბი დაუამხანაგდა, ერთგულება შეფიცა და თან გაჰყვა იმ პირობით, რომ რასაც მოიპოვებდნენ — ძმურად გაიყოფდნენ.

4. თეთრხალათიანი მეგობარი სილო-ხელმწიფისშვილს უმშვენიერესი მზეთუნახავის სიცხოვრებელ ადგილს ასწავლის და უცხო ქვეყანაში მეგზურადაც გაჰყვება. მეფე სალომის მშვენიერ ასულს ტრუდა ჰქვია და სილოსაც უნახავად „მთელი გულით“ შეუყვარდა. ქართულ ზღაპრებში ხელმწიფის თუ სოვდაგრის შვილს მზეთუნახავის სიცხოვრისისაკენ ახლადდამბილებული „ყოფილი მკვდარი“ წარუძღვება და მზეთუნახავს მოიპოვებს.

XVIII საუკუნეში ჩაწერილ რუსულ ზღაპარს ერთი გამჭოლი მოტივი აკლია, რაც ქართულ ტრადიციაში თვალნათლივ არის შენარჩუნებული. ეს მოტივი შემდეგია: „მადლიერი მკვდარი და მისი მხსნელი რასაც იშოვიან, შუაზე უნდა გაიყონ. გაყოფის მოტივი რუსულ წყაროში ძალიან ფაქიზად არის გატარებული, აშკარად მხოლოდ მისი შედეგი ჩანს და ქალის განკვეთით გამოიხატება.

რუსულ ზღაპარში უანგაროდ მომხმარე პერსონაჟის ვინაობა თავიდანვე გაცხადებულია... აკი ალმდგარი ივაშკა-თეთრხალათიანი შეხვედრისთანავე უამბობს ხელმწიფისშვილს საკუთარ ისტორიას და სიკეთის სიკეთით გადახდას ჰპირდება.

ჩვენ ვნახეთ XVIII საუკუნის რუსული ზღაპრის ქართული შესატყვისობანი, აღმოჩნდა, რომ რუსულ და ქართულ ზღაპრებს ერთი კონკრეტული სიუჟეტის ამ სიუჟეტს ახლო აღმოსავლეთის ხალხი ფლობს. ეარიანტები ფიქსირებულია ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ, ქურთულ, სპარსულ, ტაჯიკურ და სხვა ენებზე.

აშუღ-ყარიბის ეპიკური სიუჟეტის უადრინდელესი ფიქსაციის პატივი მ. ლერმონტოვს ეკუთვნის. ქართული ფოლკლორისტიკისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ძეგლის დოკუმენტირება საუკუნენახევრის წინ თბილისში მოხდა და სიუჟეტის გეოგრაფიული ცენტრიც თბილისია. მოქმედება ჩვენს დედაქალაქში იწყება და ეპიკური განვითარების შემდეგ აქვე სრულდება. შეყვარებული აშუღი თბილისელია, აქაურია მისი მიჯნური შაჰსანები და აქვე ცხოვრობენ ამ შესანიშნავი წყვილის მშობლები თავთავისი ოჯახებით. მაშასადამე, თბილისის ხსენება თხზულებაში შემოთხვევითი ხასიათისა არ არის, იგი ეპოსის წარმოქმნის დროინდელი უნდა იყოს.

ლერმონტოვის ჩანაწერი პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. გამოქვეყნდა მოგვიანებით, 1846 წელს, სტილისტურად დაუმუშავებლად. ქართველმა მოღვაწეებმა ზღაპრის გამოქვეყნებისთანავე შენიშნეს მისი ბუნებრივი, მთქმელისეული მეტყველების ხასიათი და ნ. ბერძენიშვილის მეშვეობით პრესაშიც აღინიშნა ეს ვითარება. ი. ენიკოლოპოვმა აშუღ-ყარიბის ტექსტის ზოგიერთი პოეტისეული ცვლილება გამოავლინა. მაგალითად პირველ ჩანაწერში აშუღ-ყარიბის მეტოქის სახელი „შაჰ-ვალატ“ ყოფილა, ლერმონტოვს იგი შეუცვლია ახალი ფორმით „ტურშუდ-ბეკით“. 1920 წელს მოპოვებულ ქართულ ვარიანტში „შაჰველად“ გვხვდება. ამ და ზოგი სხვა მონაცემის საშუალებით ერთი საყურადღებო ფაქტი მტკიცდება: 1930 წელს სოფელ ტატანისში ფიქსირებული „აშუღ-ყარიბი“ არ მომდინარეობს ლერმონტოვისეული ტექსტიდან, არამედ წმინდა ფოლკლორული ტრადიციის ანარეკლს წარმოადგენს. ეს იმ დროს, როცა მ. ლერმონტოვის მოთხრობა ქართულ ენაზე ერთი საუკუნის წინათ ითარგმნა და ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1865 წელს (№ 1).

ერთ საგულისხმო მაგალითს სამამულო ომის ფოლკლორიდან დავასახელებთ. ომის მონაწილე ლენინგრადელი ფოლკლორისტი, ზემოთ ნახსენები ნ. ნოვიკოვი, ფრონტზე ყოფნის ოთხი წლის მანძილზე აკვირდებოდა სხვადასხვა ერის ჯარისკაცთა ცოცხალ ფოლკლორულ ტრადიციას. „რუსული და უკრაინული ზღაპრების, ლეგენდებისა და ანეკდოტების გარდა, მე ხშირად მომისმენია ფრონტზე ქართველებისა და ყაზახების ზეპირი ხალხური მოთხრობები“, — წერს იგი და აქვეყნებს ერთ გადმოცემას, რომელიც მისთვის უამბნია ნომტყორცნელთა პოლკის მეთაურს, ცნობილ კონსტანტინე ლესელიძეს 1943 წელს სტარაია რუსასთვის ხელნაართული ბრძოლების დროს.

„25 მაისი (1943). ცხელი დღე. პოლკის მეთაურთან ერთად მივაბიჯებთ ფრონტის გზაზე მეთაურთა პუნქტისაკენ. გვერდით ტყეა, სიგრძე-სიგანეზე მტრის არტილერიისგან გადაჩეხილი ტყის შუაგულიდან მოლაღურის მელოდიური ხმა ისმის. ლესელიძე დამახასიათებელი ქართული აქცენტით გვიამბობს:

— ეს დიდი ხნის წინათ იყო. მთაში ერთი ოჯახი ცხოვრობდა: დედა ქალიშვილითა და ვაჟით. ქალს ოფოფი ერქვა, ბიჭს გოგი. დაიქუხა ომმა. გოგი ჯარში წაიყვანეს. დარდობს დედა, დარდობს და ოფოფი გოგიზე. ხმა არ ისმის: გოგისგან ცნობა არ მოდის. შუადღეა, (13 საათზე საქართველოში საუზმესა და სადილს შორის წაჰყმსება იცით), დედა და ქალიშვილი მაგიდას მიუსხდნენ ლუკმა ყელში არ გადადის, ცივი წყალიც უგემურია. ატირდა დედა. გოგის ჯავრით, მშობლის გული რაღაც უბედურებას გრძნობს. ამ დროს ცნობა მოდის — გოგი მოკლულია. გამწარებული დედა წყლიან დოქს იატაკზე დაანარცებს და გულამოსკვნით მოთქვამს: „მშობლიური ბუდიდან აფრენილო, უცხო მხარეს წასულო, ლუჩი ზღვების იქით დახუჭე თვალი; გაიხარეს ბოროტმტრებმა, სამუდამოდ დაგვაშორეს ერთმანეთს. ოქროსფრთებანი ჩიტი რომ ყოფილიყავი, მოფრინდებოდი მშობელ დედასთან, ჩემო შვილო გოგი..“ როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა გულდამწვარმა მშობელმა, საიდანღაც მოფრთხიალდა ფასკუნჯივით ლამაზი მოლაღური და წკრიალა ხმით ჩამოსძახა“ „გოგი-შვილი“. ამ დროიდან მოლაღური ყოველთვის სტვენს: „გოგი-შვილი“. აქედან წარმოსდგა ქართული გვარი გოგიშვილი“ (დიდი სამამულო ომის რუსული ფოლკლორი, 1964). ასეთია რუსულ ფოლკლორში გადასული, ქართული თქმულება ომის შესახებ, თუ რატომ იძახის მოლაღური „შვილო გოგიას“. მითოლოგიურ თარგზე გამოთქმული ეს ორივე თქმულება საქართველოში ფიქსირებულია არაერთხელ, ჯერ გაზეთ „ქავკაზში“ 1850 წელს, შემდეგ კი აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას პროზაულ ნაწარმოებებში. იგივე თქმულება ძლიერ უყვარდა გიორგი ლეონიძეს.

ასეთია ძირითადად რუსულ-ქართული ფოლკლორული ურთიერთობის სურათი.

მიხეილ ჩიქოვანი.

პროგლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

თეიზი კარსტულ წყლებში

უნგრეთი. შეიძლება თუ არა რაიმეში გამოვიყენოთ შახტების კარსტული წყლები? ამ კითხვაზე პასუხი უნგრელმა სპეციალისტებმა მოძებნეს. დიდი ხანი არ არის, რაც კარსტულ წყლებს ისინი მეტად ეფექტიანად იყენებენ მეთევზეობისათვის, რადგან ეს წყლები მდიდარია ჟანგბადით და ძლიერ ყინვებშიც ყინულით არ იფარება.

ახლა ჩრდილოეთ უნგრეთში, ტაპოლცის მახლობლად, მოქმედებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი კალმახების სამრეწველო მეურნეობა, სადაც „რეზერვუარები“ კარსტული წყლით არის ავსებული.

კოსმონავტის მხედველობა

სსრ კავშირი. ადამიანის კოსმოსში ყოფნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენაა მხედველობის დროებითი გაძლიერება.

ეს ფენომენი მეორე პერიოდში ხდება, როცა ორგანიზმი უწონობას ეჩვევა. ბრაზილიაზე გადაფრენისას საბჭოთა კოსმონავტმა იური გლაზკოვმა ილუმინატორში ტბები, მდინარეები და გზატკეცილზე მიმავალი ავტობუსები დაინახა. ამ მომენტში კოსმოსური ხომალდი „სალუტი“ დედამიწის ზედაპირს 200 კილომეტრით იყო დაშორებული. ეს საინტერესო მოვლენა ჯერ აუხსნელია.

სტრესი და კიბო

ჰოლანდია. ჰოლანდიის ასოციაციის მიერ ამსტერდამში გაწართულ მედიკოსთა სიმპოზიუმზე, რომელიც სტრესის საკითხებს მიეძღვნა, მონაწილეები გაეცნენ პროფესორ ი. ბასტიანსის გამოკვლევებს. მეცნიერი დარწმუნებულია, რომ კიბოსა და ადამიანის მიერ გარემოს ფსიქოლოგიური შეგრძნებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. თუმცა, გარეგნულად მშვიდ ადამიანებს, როცლებსაც შეუძლიათ ემოციების დამალვა და გაურბიან კონფლიქტურ სიტუაციებს, უფრო მეტი მიდრეკილება აქვთ ავთვისებიანი სიმსივნეებისადმი, ვიდრე იმათ, ვინც აშფოთებენს, არ მალავს თავის ემოციებს.

ეს მტკიცებანი დასტურდება ცალკე ამერიკელი და ცალკე იუგოსლავი სპეციალისტების გამოკვლევებით. გარკვეული პერიოდის მანძილზე იუგოსლავები აწარმოებდნენ დაკვირვებას 1353, ხოლო ამერიკელები 2020 კაცზე. გამოკვლევიდან 10-17 წლის შემდეგ იმ პირთა შორის, რომლებსაც, მათი ხასიათის გათვალისწინებით, კიბოთი დაავადება უწინასწარმეტყველეს, ეს დაავადება 2-ჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე იმათ შორის, ვისაც ავთვისებიანი სიმსივნე არ უწინასწარმეტყველეს.

ალმასის... კლანტები?

აშშ. ამერიკელ ასტროფიზიკოსთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ნეპტუნსა და ურანზე შეესაძლებელია ალმასის ლოდები იყოს. მათი გამოონგარიშების თანახმად, რამდენიმე მილიონი წლის წინათ ამ პლანეტების ბირთვებში 200 ათასამდე ატმოსფერული წნევა და 1700 გრადუსამდე ტემპერატურა უნდა ყოფილიყო, რაც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ აქ არსებული ნახშირბადი ალმასად გარდაქმნილიყო. შემდეგ კი, გეოლოგიური პროცესების ზეგავლენით, ალმასები პლანეტების ზედაპირზე აღმოჩნდნენ. ასე ხსნიან მეცნიერები ამ პლანეტების უცნაურ სიკაშკაშეს.

ამ ჰიპოთეზის ქეშმარიტება უნდა დადგინდეს აწყამად კოსმოსში მომუშავე საპლანეტთშორისო ავტომატური „ვოიაჯერი-1“ და „ვოიაჯერ-2“ ზოგდებით.

ყველაფერი შედარებითია

ინგლისი. ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოდის შესაფასებლად სპეციალური ცხრილი შეადგინა. თურმე, ამბობს იგი, ვიდრე ტანსაცმელი მოდაში შემოვა, ის ხუთი წლით ადრე ამორალურად ითვლება, სამი წლით ადრე — მეტად მყვარალად, ერთი წლით ადრე — მეტად გაბედულად.

როცა მოდაშია, ეს ტანსაცმელი მშვენიერი, ერთი წლის შემდეგ — უგემოვნო, ხუთი წლის შემდეგ შემაძრწუნებელი, ათი წლის შემდეგ სასაცილოა, ხოლო ოცდაათი წელი რომ გაივლის — ორიგინალური.

გამოცვალეთ კბილის ჯაგრისი

სტოკჰოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე დაადგინეს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში კბილის ჯაგრისების 80 პროცენტს სწორად არ ამზადებენ.

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ უვარგისია ნატურალური ბეწვის ჯაგრისებიც, (თუმცა დღემდე ისინი ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა), თურმე ხშირებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი მიკრობთა ბუდედ იქცევა!

ქაქალი ფასდაუდებელი სიმდიდრეა





1982 წელს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დუშელ ახალგაზრდებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ უახლოესი ათწლეული უნდა გამოცხადდეს კაკალნაყოფიანთა ბახის ნერგებით სამრეწველო პლანტაციების გაშენებისას ნერგი ინარჩუნებს იმ დიდმაცენარის ძვირფას გენეტიკურ თვისებებს, რომლიდანაც აიჭრა საშენობი კალმები.

ისიც აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის საწარმოს წითელხიდის სასათბურე მეურნეობას ყოველწლიურად გამოაყავს 55 ათას ძირზე მეტი კაკლის ნამყენი ნერგი და აწვდის მომხმარებელს.

* * *

სურათებზე: (ზემოთ—მარცხნიდან) სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის კაკალნაყოფიანთა რესპუბლიკური საცდელ-სპეციალიზებული საწარმოს მთავარი მეტყევე თ. მეტრეველი, საწარმოს დირექტორი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ვაწაძე, წითელხიდის სასათბურე სატყეო მეურნეობის უფროსი ვ. ბერიძე და ტყის მცველი მ. გუსეინოვი; კაკლის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფი, რომლებიც ითესება და შემდეგ ამყნიან შეჯვარებით; ლაბორანტი მარინა ალექსიძე, ამოწმებს ორწლიანი ნამყენი ნერგის ნაყოფის განვითარებას და ხარისხს; ორწლიანი ნერგის ნაყოფი.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

წერილის კვირეული

9 ოქტომბერს ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული წერილის კვირეული იწყება.

უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, ყოველ წელიწადს ოქტომბრის პირველ ნახევარში ეწყობა ხოლმე ეს დათვალიერება, რომლის დროსაც საფოსტო კავშირის მუშაკები ხვდებიან მოსახლეობას, ესაუბრებიან თავიანთი პროფესიის, წერილების გაფორმების წესებისა და სხვა იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებსაც თანამედროვე ფოსტა უყენებს მისი მომსახურებით მოსარგებლე მოსახლეობას. ამ შეხვედრებზე გამოთქმულ პრეტენზიებსა და შენიშვნებს გულდასმით სწავლობენ და ითვალისწინებენ ფოსტის მუშაკები.

კვირეულის მთავარი მიზანია საფოსტო მომსახურების სრულყოფა. მაგრამ მას აქვს კიდევ ერთი — არაოფიციალური „მოვალეობა“ — შეახსენოს ყოველ ჩვენგანს, რომ წერილი როგორც ადამიანთა ცოცხალი ურთიერთობის საშუალება, კვლავინდებურად სწორუპოვარია. (საკ.ინ.).

ყაბალი

უძლიერესნი

პროფესიონალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა თანამედროვეობის უძლიერეს ჩოგბურთელ ვაჟთა „რანგ-ლისტი“, რომელიც ასე გამოიყურება:

1. ჯონ მაკინროი (აშშ); 2. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 3. ჯიმი კონორსი (აშშ), 4. იანიკ ნოა (საფრანგეთი), 5. გილიერმო ვილასი (არგენტინა), 6. მატს ვილანდერი (შვეიცია), 7. ხოსე ლუის კლერკი (არგენტინა), 8. იუჯინ მეიერი (აშშ), 9. ხოსე იგნეციასი (ესპანეთი), 10. ჯიმი არიასი (აშშ) და ა. შ.

ამ „რანგ-ლისტს“ ნაკლებად ემთხვევა სია მსოფლიოს იმ უძლიერესი ჩოგბურთელებისა, რომლებიც ერთმანეთს პოპულარულ ჯილდოს — „გრან-ბრის“ ეცილებიან. ეს ჯილდო დაწესებულია შვეიცის საავტომობილო კონცერნ „ვოლვოს“ მიერ იმ ჩოგბურთელისათვის, რომელიც გაიმარჯვებს წლის უმნიშვნელოვანეს ტურნირში. პრეტენდენტების მდგომარეობა დღეისათვის ასეთია: 1. ლენდლი — 2274 ქულა (12 ტურნირი), 2. კონორსი — 2080 (12), 3. ლენდლი — 1976 (15), 4. მაკინროი — 1800 (9), 5. ნოა 1682 (10), 6. არიასი — 1680 (16), 7. იგუერასი — 1308 (19), 8. კლერკი — 1125 (12), 9. გომესი (ეკვადორი) — 888 (15 ტურნირი) და ა. შ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

10 ოქტომბერს

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა **თბილისის „დინამო“ — ბაკოს „ნეფთჩი“**

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ბილეთების საერთო გაყიდვა 10 ოქტომბერს სტადიონის სალაროებში 15 საათიდან.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

რომსა და ბაზელში

როგორც უეფას სამდივნოს მიერ გაგზავნილებულ ცნობაშია ნათქვამი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი გაიმართება 1984 წლის 30 მაისს რომის ოლიმპიურ სტადიონზე. თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი კი დაინიშნა 16 მაისისათვის — ბაზელში (შვეიცარია).

ფლის ბოლომდე

განთქმულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ, რომელიც ესპანეთის „ბარსელონაში“ თამაშობს, ბილბაოს „ატლეტიკთან“ შე